გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

სამტრედიის მაცნე

N1 (9324) | 10 იანვარი. 2020 წელი | ფასი 50 თეთრი

2

„მომავალი ოთხ შაბათისთვის პრიორიტეტები უნდა წარმოვიდგინოთ"

5

მალე კიდევ ერთხელ მოვა ახალი წელი

3

პატრიარქის ეპისტოლე 2020

გაბრიელ ჩაგანავა სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2020 წლის პირველი ახალშობილია

თანამედროვე ტექნოლოგიები წიგნს ვერასოდეს ჩაანაცვლებს

6

6

სამტრედიელი გოგონას საკონკურსო ნამუშევარი დაიბეჭდა

„თქვენს წამს გაუმარჯოს"

ვივინია მიქელაძე

9

“მომავალი ოთხშაბათისთვის პრიორიტეტები უნდა წარმომიდგინოთ”

ნინო ნანიტაშვილი

2019 წელი შეაჯამა ვალერიანე ფოცხვერიამ 8 იანვრის შეხვედრაზე, სადაც მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებიც იყვნენ წარმოდგენილნი. ოფიციალური სამტრედიის პირველი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტმა შარშან ყველა აღებული ვალდებულება 100 პროცენტით შეასრულა, რისთვისაც თითოეულ მათგანს მან მადლობა გადაუხადა.

მთავარი 2020-ია, დასძენს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი და წინასწარვეა დარწმუნებული იმაში, რომ ახალი ძველზე, 2019 წელზე უფრო წარმატებული იქნება: “გამოწვევები იგივეა, პრიორიტეტულად კვლავ ინფრასტრუქტურული პროექტები რჩება, თუმცა, ხელს არც სოციალურ და კულტურულ პროექტებს დავაკლებთ.”

2020 წლის პირველი განკარგულება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებას მოიცავს. აქ ვალერიანე ფოცხვერია წინა წელში ჩატარებულ სამუშაოებს უბრუნდება. პროექტის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფელი არ დარჩენილა, სადაც დიდი საქმე არ გაკეთებულიყო. მაგალითისთვის მუნიციპალიტეტის მერმა გაღმა ზონა დაასახელა. ხიდ-ბოგირების მშენებლობით მთიანი სოფლის მოსახლეობას სერიოზული ინფრასტრუქტურული პრობლემები მოეხსნა.

ვალერიანე ფოცხვერიამ 2020 წლის პირველი სახელისუფლებო შეკრების ტრიბუნა გამოიყენა და სოფლებში მერის წარმომადგენლებს თხოვნა-დავალებით მიმართა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებთან ერთად პრიორიტეტები გამოკვეთონ, მოემზადონ სოფლებში ყრილობების ჩასატარებლად: არავითარი შეზღუდვა არ გვექნება დაპროექტების მომენტში ოპოზიციის ჩართულობასთან დაკავშირებით”. _ დასძინა ვალერიანე ფოცხვერიამ და იქვე

კონკრეტული მითითებები მისცა ააიპ-ების ხელმძღვანელებს, შეთანხმებულად იმუშაონ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან, რაიმე გაურკვევლობა თავიდანვე რომ იქნეს აცილებული.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა 2020 წლის პირველი შეკრების მთავარ მიზანს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი: “2020 წელი განსაკუთრებული უნდა იყოს. ის მოცემულობები, რომელიც ჩვენ გვაქვს, შეიძლება არ იყოს საკმარისი იმისათვის, მთლიანად მოვიცვათ ყველაფერი, მაგრამ ეფექტური გამოყენების შემთხვევაში მოსახლეობა დაინახავს სიკეთეს.”

ვალერიანე ფოცხვერიამ 14 იანვრის გრანდიოზული კონცერტი დაანონსა, რომელიც სამტრედიაში 2013 წლიდან ტრადიციულად ტარდება.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა და ახალი წელი მიულოცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ: “არ დაგიმალავთ, რომ ძალიან გამახარა 2020 წლის პირველმა ბრძანებულებამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებაზე, რაც ძალიან ეფექტურად მუშაობს ჩვენს მუნიციპალიტეტში”. ნუგზარ ჯაბურიამ მუნიციპალიტეტის მერიას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა:

“2020 წლის გეგმა-ვალდებულება მიღებულია და უნდა შევუდგეთ მის შესრულებას. ვიცი, რომ საკმაოდ დაძაბული 2020 წელი გვექნება, მაგრამ ჩვენ ყველა პრობლემას დავძლევთ. შეერთებული ძალებით, ცოდნით, ენერგიით, გამოცდილებით საუკეთესო ეფექტს მივიღებთ, რასაც ჰქვია ჩვენი უფლება-მოსილების ღირსეულად შესრულება”.

შეხვედრის ნაწილი მუნიციპალიტეტის მერმა იმ ადამიანების დამსახურების გამოყოფას დაუთმო, რომლებიც ახალი წლის დღეებში ჩვენი თანაქალაქელების კეთილდღეობაზე აქტიურად ზრუნავდნენ. “ალბათ, თქვენც მოგწონთ ჩვენი ქალაქი ამ საახალწლოდ როგორ არის გალამაზებული, რაზეც ადამიანები დღედაღამ ზრუნავდნენ. ზოგი არხებში დგას, ზოგიც ელექტრობოძებზეა გასული. ისინი არიან კომუნალური და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლები. ამ ადამიანების მიმართ ჩემი მხრიდან იქნება განსაკუთრებული ყურადღება”.

ვალერიანე ფოცხვერიამ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორს, ხათუნა გაგუას, მიმართა: “ბაღები ჩვენთვის წელსაც პრიორიტეტია. სურსათის უვნებლობის სააგენტოს რა შენიშვნებიც ჰქონდა, უნდა გაითვალისწინოთ და ყველა აღმოვფხვრათ.”

2019 წლის ჯერ დასმული აქცენტები და შემდეგ გაკეთებული ანალიზი მოუწონა მუნიციპალიტეტის მერს მოადგილემ. დავით ბახტაძე თვლის, რომ 2020 წლებში კიდევ ბევრი საქმე აქვთ გასაკეთებელი, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს მოსახლეობის ინტერესებზე: “პირველ რიგში, სიღარიბის დაძლევა, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს არა მარტო მუნიციპალიტეტში, არამედ რეგიონში, ქვეყანაში. სწორად შერჩეული პრიორიტეტები განსაზღვრავს საქმის ხარისხს. მინდა, გისურვოთ წარმატებული და ნაყოფიერი ახალი წელი. საზეიმო განწყობა მთელი წლის მანძილზე გაგყოლოდეთ და ამ განწყობის პარალელურად ბევრი სასიკეთო საქმე გვქონოდეს ერთობლივად გაკეთებული.”

გაბრიელ ჩაგანავა სამტრედიის მუნიციპლიტეტში 2020 წლის პირველი ახალშობილია

ნინო ნანიტაშვილი

შპს “ჯეოპოსპიტალსის” სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში 1-ლი იანვარის ღამეს სამყაროს გაბრიელ ჩაგანავა მოევლინა. ახალშობილი 3 კილო და 300 გრამი დაიბადა. სიგრძით 52 სანტიმეტრი. დედა, თამთა კაჭარავა, სამედიცინო ცენტრში წინა დღით გართულებული სამშობიარო ტკივილებით შეიყვანეს.

მორიგე ექიმი ლალი ფახურიძე: “გვყავს ძალიან კარგი, ჯანმრთელი ახალშობილი. მელოგინე თამთა კაჭარავა როდესაც ჩვენთან შემოიყვანეს, გექონდა რთული სიტუაცია, რის გამოც ჩატარდა სასწრაფო საკეისრო კვეთა. დაიბადა პატარა გაბრიელი, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2020 წლის პირველი ახალშობილია. ამ დროისთვის დედისა და ახალშობილის ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია”.

2 იანვრისთვის სამტრედიის სამედიცინო ცენტრის სამშობიარო განყოფილებაში კიდევ ერთი ახალშობილი ჰყავდათ. 2019 წლის 31 დეკემბერს დედამ, თეა კაჭარავამ გეგმიური საკეისრო კვეთით 3 კილო და 400 გრამიანი, თეკლა კაკავა გააჩინა.

ალექსანდრე ნადირაძის გვამი ნაპოვნია

ნინო ნანიტაშვილი

მდინარე რიონმა 37 დღის წინ გაუჩინარებული ახალგაზრდის გვამი გამორიყა. შეგახსენებთ, რომ 2019 წლის 29 ნოემბერს საჯავახოს მკვიდრი, 32 წლის ალექსანდრე ნადირაძე მეზობლებმა ბოლოს საძოვარზე ნახეს. ახალგაზრდა კაცმა მსხვილფეხა პირუტყვი სახლში მიიყვანა, დააბინავა და ცოტა ხანში გაუჩინარდა.

მონადირეებმა მისი ტანსაცმელი მდინარის პირას დალაგებული იპოვეს, კვალი წყალში შედიოდა და იკარგებოდა. ნადირაძის დაკარგვის ინფორმაცია ოჯახმა ადგილობრივ ხელისუფლებას მიაწოდა, სამძებრო სამუშაოებში, სამაშველო სამსახურთან ერთად, პოლიცია ჩაერთო. მყვინთავები ბათუმიდან ჩამოიყვანეს. ინტენსიურმა სამუშაოებმა შედეგი ვერ გამოიღო. როგორც ვარაუდობდნენ, გვამი ჩასილული უნდა ყოფილიყო. ასევე, სავარაუდოდ, ადგილი უნდა ჰქონოდა სუიციდს, რომლის მცდელობა ალექსანდრე ნადირაძეს სხვა დროსაც ჰქონია.

დაკარგულ ახალგაზრდას ოჯახში მხოლოდ მამა, ნოდარ ნადირაძე, ჰყავდა, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას ამ დროის განმავლობაში უყურადღებოდ არ დაუტოვებია.

ალექსანდრე ნადირაძის გვამი 5 იანვარს მდინარე რიონმა იმ ადგილიდან 300 მეტრის მოშორებით გამორიყა, სადაც ახალგაზრდამ 37 დღის წინ ტანსაცმელი დატოვა.

გვამი ქუთაისის პროზექტურაში, შემდეგ კი სახლში გადაასვენეს. ალექსანდრე ნადირაძე 9 იანვარს, სოფელ საჯავახოში დაკრძალეს. მთელი სოფელი მას დადებითად ახასიათებს და გულისტკივილს გამოხატავს ახალგაზრდა კაცის დაღუპვის გამო.

პატრიარქის ეპისტოლე 2020

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II საშობაო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო. მოგმართავთ ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო და ყოველნო ერნო:

აჰა, დადგა ჟამი ღვთის განკაცების უდიდესი საიდუმლოსი. დღეს იშვა დამბადებელი, "რომლის მიერაც შეიქმნა ყოველი: მიწიერიც და ზეციერიც; ხილული თუ უხილავი, საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი", დღეს იშვა ის, "ვის მიმართ და ვის მიერაც ყოველივე დაიბადა" (კოლას. 1,16).

ამიტომაც ახლა მორწმუნენი გონებით მივისწრაფვით ბეთლემისაკენ, რათა განვიცადოთ 2000 წელზე მეტი ხნის წინ დამდგარი უდიდებულესი ჟამი, როდესაც ამსოფლიური პატივისაგან მოკლებულ, აღთქმული მიწის ერთ ცივ და ბნელ გამოქვაბულში აღესრულა სასწაული, რომლის სადარი სამყაროში არაფერი მომხდარა და არც არასოდეს მოხდება.

მიუწვდომელი, გარეშემოუწერელი, მიუახლებელი ღმერთი განკაცდა, რათა კაცი განღმრთობილიყო; ჭეშმარიტი უფლის მადიდებელი ერის წიაღში, წმ. დავით მეფის მოდგმაში, იშვა ძე ღვთისა და თვალშეუდგამმა ნათელმა ჩვენთან მარადიულად ყოფნა ინება; უკვდავმა მოკვდაობა, უხრწნელმა ხრწნადობა მიიღო, რათა ჩვენ მოკვდავნი და ხრწნადნი სიკვდილის საკვრელთაგან დავეხსენით.

დღეს ყოველნი მართლმორწმუნენი ქრისტეშობის მახარებელნი ვართ, რადგან ჩვენთან არს ღმერთი! დღეიდან მისი მომძიებელნი ვეზიარებით და უხვად მივიღებთ აქამდე მიუწვდომელ მადლთა სისავსეს, _ კეთილმსახურებათა ნიჭსა და უნარს და ხილულ და უხილავ სამყაროს შევღაღადებთ:

იხარებდით და აკურთხებდით შემოქმედს ცანი და ქვეყანა, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

იხარებდით და აკურთხებდით უფალსა უფლებათასა ანგელოზნი და ყოველი სულდგმულნი, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

იხარებდით და აკურთხებდით ახალ ადამს მეფენი და მამათმთავარნი, ერნი და ტომნი; აკურთხებდით უფლის ყოველ საქმეს, უგალობდით და განადიდებდით მას უკუნისამდე, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

რომ არა შენი საკვირველი შობა, კაცობრიობას არ ეყოლებოდა მაგალითი უაღმატებულესი სიყვარულისა და მშვიდობისმყოფელისა, ჭეშმარიტი მეფისა, მოძღვრისა და მასწავლებლისა, სახე უზენაესი სიმდაბლისა და თავდადებისა, ერთგულებისა და მეგობრობისა; ხატი ზეციური მამა-ძეობისა.

ჩვენ, ამპარტავნებითა და განდიდების სურვილით შეპყრობილნი, საკუთარ თავს ვერასოდეს ვიპოვიდით, ეგოისტური "მეს" მბრძანებლობას ვერ გავექცეოდით და არც დავთმობდით.

შენ გვასწავლე, იესო, რომ სიყვარულშია ხსნა, რომ სიმდაბლეშია _ სიმაღლე, სიმარტივესა და უბრალოებაში _ სიდიადე; მოყვასის მსახურებაში _ სიხარული; გაცემაში _ შეძენა და დათმენაში _ გამარჯვება; რომ მტრის სიყვარულშია სიყვარულის სისრულე და სხვისთვის თავგანწირვაშია საკუთარი სულის პოვნა...

შენი განხორციელებისათვის, მხსნელო, დედამიწაც განემზადა და გიძღვნა ქალწულთა მშვენება. დედათა სიქადული, _ წმინდა მარიამი.

გიხაროდენ, ურჩეულესო ჭურჭელო, ყოველთა ნათესავთა შორის სანატრელო (ლუკ. 1.48);

გიხაროდენ, დედაო ღვთისა, ევას ცრემლთა აღმხოცო; ცხოვრების ხეო, სიცოცხლის ნაყოფის მომცემო; ჩვენს ლოცვათა უფლისადმი აღმწევნელო.

გიხაროდენ, ცოცხალო ტაძარო ღვთისაო, ჩვენს ლოცვათა უფლისადმი აღმწევნელო.

უფლის განგებამ ინება, რომ შენი მზრუნველობით ჩვენც ღვთის ერის გავმხდარიყავით საუკუნეთა მანძილზე მრავალფერ განსაცდელთაგან ვნებულმა მცირე სამწყსომ შენი მფარველობით გაუძლო ათას ქარტეხილთ და დარჩა ქრისტეს ერთგული. დღესაც შენ გსასოებს ჩვენი დამაშვრალი ერი, მრავალთაგან მრავალჯერ ნაღალატები და ჯვარცმული, მაგრამ მაინც გაუტეხელი და ღვთის მოიმედე.

ჩვენც, მონანი და მხევალნი შენნი, მოგმართავთ ცისა და ქვეყნის დედოფალს: კვლავაც შეეწიე უძლურებათა ჩვენთა, შეგვავედრე ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა, რათა ყოველნი მკვიდრნი იბერიისანი, შეცდომილნი ძენი და ასულნი ჩვენნი, გზასა ჭეშმარიტებისასა შეუდგნენ; ბოროტმზრახველთა, მოშურნეთა და მაჭირვებელთა გულნი ლმობიერ-ჰყავ და დაამშვიდე; დამნაშავეთ სინანული მიეც; საპყრობილეთა შინა მყოფთ, _ თავისუფლების სიხარული; უსამართლოთ, _ სამართალი; მშიერთ, _ პური; შიშველთ, _ სამოსელი; უპოვართ, _ სარჩო-საბადებელი; კეთილად მუშაკთ, _ ღირსი საყიდელი...

ურვათა მრავალთა დამტევნელო, ყოვლადუბიწოო ღვთისმშობელო, ნუგეში-ეც მტირალთ, ყოველივე სასიკეთოდ წარუმართე მადლიერებით ჭირთა დამთმენილთ, ჭაბუკთა და ყრმათა სიმხნე მიჰმადლე და სულიერად განსწავლე, სნეულნი განკურნე, მხცოვანნი შთამომავალთა კეთილდღეობით გაახარე, უცხოეთში მყოფნი თანამემამულენი სამშობლოში მშვიდობით დააბრუნე, იქ დარჩენილნი კი უფლის სადიდებლად და სამშობლოს საკეთილდღეოდ აღვაწე.

განგვიმტკიცე სიყვარული, სასოება და შიში უფლისა, ერთგული მსახურება ეკლესიისა, მამულისა და მოყვასისა. მოგვმადლე გული წმინდა და სული წრფელი, გონება ნათელი და შემეცნების სიღრმე, სხეული ჯანსაღი და უვნებელი. გვაშორე მუცლადღებულ ყრმათა კვლა და თვითმკვლელობები.

აღადგინე, დალოცე და განამტკიცე საზღვარნი საქართველოსანი, და მას შინა მკვიდრნი დაიცევ "შიმშილისაგან, სრვისა, ძვრისა, ცეცხლისა, მახვილისა, ზედა მოსვლისაგან მტერთასა", სტიქიონთა ვნებისაგან და ყოველი ბოროტი ძალის მანქანებისაგან; დალოცე და განამტკიცე ოჯახები ჩვენი და აკურთხე იგინი შვილთა სიმრავლითა და ნაყოფთა სიუხვითა.

გევედრებით, მეოხ-ეყავ მართლმადიდებლობით აღსრულებულთა ჩვენთა წინაპართა, _ მეფე-დედოფალთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, სამშობლოს ერთგულთა და თავდადებულთა მონათა და მხევალთა შენთა, მომხსენიებელთთა გარეშე დარჩენილთა ყოველთა; გევედრები შორებელთა და მახლობელთათვის, რომელნი შეწევნასა ჩვენსა შემოვედრებულ არიან, რათა ყოველნი შემოქმედმან სავანესა მართალთათვის გამზადებულსა დააწესოს.

არ განგვეშორო დედაო, არცა ჟამსა მას მეორედ მოსვლისა ძისა შენისასა და ჩვენს მსასოებელთა შენთა, მეოხ გვეყავ წინაშე მისა, რათა მართალთა თანა ვიხარებდეთ და ვადიდებდეთ დამბადებელსა ჩვენსა, ყოველთა შემწყნარებელსა და სიყვარულსა დაუსრულებელსა, _ მამასა და ძესა და წმინდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ბეთლემს შობილო ქრისტე, ღმერთო, ამ დიდებულ ღამეს, სულითა და გონებით შენსკენ მოლტოლვილნი, კანდლად გინთებთ ჩვენს ლოცვა-ვედრებასა და ქება-დიდებას; ოქროს, გუნდრუკისა და მურის ნაცვლად ძღვნად მოგართმევთ ჩვენს გულებს, სიყვარულსა და ერთგულებას, კრძალვითა და თაყვანისცემით მოგეგებებით და ვხმობთ:

დიდება შენს მობრძანებას, ყრმაო, მშვიდობის მთავარო! (ეს. 9,5)

დიდება შენს გარდამოსვლას, უფალო საბაოთ! (ეს. 37, 16)

დიდება შენს მოვლინებას, ადონაი უფალო! (ეზ. 37.3)

გაკურთხებთ და აღგამაღლებთ შენ საუკუნითგან უკუნისამდე და ვაკურთხებთ მშობელსა შენსა, დედათა შორის კურთხეულს (ლუკა 1.42).

და კიდევ ერთხელ შეგთხოვთ, მოჰფინე შენი მშვიდობა, შენი წყალობა, ურწმუნოებით დამძიმებულ მშფოთვარე მსოფლიოს; ავის და კარგის გარჩევის უნარი და სიბრძნე მოგვეც და შენი სასუფევლის მკვიდრნი გაგვხადე.

"ქრისტე იშვების, _ ადიდებდეთ! ქრისტე ზეციო, _ მიეგებვოდეთ! ქრისტე ქვეყანასა ზედა, _ ამაღლდით... კვალად ბნელი დაიხსნების, კვალად ნათელი მოიქცევის... ძველნი წარხდეს, აჰა, იქმნა ყოველივე ახალ" (გრ. ღვთისმეტყველი), გიხაროდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

სიყვარულით თქვენთვის ბლოცველი, ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
თბილისი, ქრისტეს შობა,
2019/2020

19 იანვარს ნათლისღებაა, გილოცავთ!

იყო ვინმე იოანე, ძე ზაქარიასი რომელიც იუდეის უდაბნოში ხალხს მესიის მოსვლის შესახებ უქადაგებდა. იოანეს აქლემის ბეწვი ემოსა და კალიებითა და ველური თაფლით იკვებებოდა. სწორედ მას უნდა მოემზადებია ხალხი მაცხოვართან შესახვედრად.

იოანე ნათლისმცემელი მდინარე იორდანეში ბანდა მასთან მოსულებს, რადგან უფალს ვერ შეხვდებოდა კაცი ჭუჭყიანი. მდინარის წყალს მხოლოდ გარეგანი ჭუჭყის განბანვა შეეძლო, შინაგანი სულიერი განწმედა კი წმინდა სულით იყო შესაძლებელი.

წმინდა იოანე ხალხს ეუბნებოდა: "მე უკუე ნათელ-გცემ წყლითა სინანულად, ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ ხამლთა მისთა ტვირთვად. მან ნათელ-გცეს თქვენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა".

და აი, იესო ქრისტე 30 წლის ასაკში მიდის იოანესთან, რათა მოინათლოს, ნათლისმცემელმა შეიცნო განკაცებული ღმერთი და ასე მიმართა მას:

"მე მიხმს შენმიერ ნათლისღებაი, და შენ ჩემდა მოხუალა?" იესომ უპასუხა _ აღვასრულოთ ყოველი სიმართლე, რაიც მოგეთხოვება, როცა მოინათლა იესო და წყლიდან ამოვიდა, ზეცა გაიხსნა და სულიწმინდა მტრედის სახით დაადგა მას, ამ დროს გაისმა ხმა ზეცით: "ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელიც მე სათნო ვიყავ"

19 იანვარს, ნათლისღებას ყველა მოქმედ ტაძარში შესაბამისი ღვთისმსახურება აღევლინება.

ლევან გაბეჩავა

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა!

ლევან გაბეჩავა

170 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც გიორგი ერისთავის თაოსნობით, 1850 წელს, დაარსდა ქართული თეატრი. მხოლოდ ის ძუნწი ციფრი, რომ 1860-80-იან წლებში, ე. ი. ქართული თეატრის დაარსებიდან სულ რაღაც ოცი წლის შემდეგ, სამტრედიაში თეატრალური ცხოვრება იწყებს გაფურჩქვნას, ბევრის მთქმელია.

"თექვსმეტს ამა თვისას, კვირა ღამეს ს. დიდი ჯიხაიშს მიროვოი პოსრედნიკის ქაიხოსრო ლორთქიფანიძის სახლში, ანეტა ლორთქიფანიძის თაოსნობით წარმოადგინეს "მე მინდა კნეინა გავხდე" კომედია ორ მოქმედებად და "ცოლი თუ გინდა, ეს არის". წერდა გაზეთი "დროება" 1881 წლის 21 აგვისტოს.

შორს წაგვიყვანს დეტალური საუბარი ყველა იმ მიღწევის ირგვლივ, სამტრედიაში სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე თეატრალების შემოქმედებას რომ უკავშირდება და ასახავს.

ოქროს ხანა შეიძლება ვუწოდოთ იმ დროს, როცა სამტრედიის სახალხო თეატრის მსახიობებად მოღვაწეობდნენ, ასე ვთქვათ, სამი თაობის მსახიობები: **ალექსანდრე ერქვანიძე, მზია ჩიხლაძე, ზელიმხან ანდრიაძე, ოთარ შანიძე, დავით ტაბიძე, იური გვაზავა, გ. ახობაძე, დ. პირველაშვილი და სხვები.**

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამტრედიის თეატრალურ ცხოვრებაში: მზია გაგიშვილმა, როლეზ გოგიშვილმა, ბადრი ჯანჯალიამ, ჯემალ შეწირულმა, სერგო დუნდუამ, ჟუჟუნა ახობაძემ, რადი შენგელიამ, ირინე მაჭავარიანმა, ტარიელ ხაჟალიამ. რაოდენ სასიამოვნო და საამაყოა, რომ ღამის 150 წლის ჩვენი ქალაქი დღესაც არ უდებს ტოლს აღიარებულ თეატრალურ კოლექტივებს.

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრთან არსებული თეატრალური დასი, **რეჟისორები ვეფხია ნადირაძე და ლორიტა ჯორჯიკია** ხშირად ანებივრებენ მაყურებელს პროფესიულ დონეზე შესრულებული როლებით, შესანიშნავი სპექტაკლებით.

ამ ციცქნა წერილით პროფესიულ დღეს ვულოცავთ სამტრედიელ თეატრალებს, გემოვნებიან მაყურებლებს, კვლავ წარმატებით გეღვაწოთ, მეგობრებო!

დიდი ილიასი არ იყოს, "თეატრი ხომ ერის სახე, მისი კულტურის, ყოფის მაჩვენებელია".

რკინიგზელები რკინიგზელთა ქალაქიდან

ლიანდაგის ენა ესმის...

ლევან გაბეჩავა

ამჟერადაც, წინასაახალწლოდ, კეთილი სურვილებითა და ლამაზი მისალოცი ბარათით მოვიდა რედაქციაში ღვაწლმოსილი რკინიგზელი, ბატონი რევაზ შამათავა და დამდეგი შობა-ახალი წელი მოგვილოცა. სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, წინასაახალწლო ნომერში დაიბეჭდა ბატონი რევაზის სურვილები. 90 წლის "სამტრედიის მაცნე" გულწრფელადვე ულოცავს 2020 წლის მობრძანებას ბატონ რევაზს, რკინიგზელთა მრავალათასიან არმიას და უკვე ტრადიციულ რუბრიკაში, კიდევ ერთ წარმატებულ რკინიგზელს, ბატონ ჯონი ზაქარეიშვილს გაგაცნობთ, ჩვენამდე ბატონმა რევაზმა რომ უმეგზურა.

ბატონი ჯონი 67 წლისაა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო ტრესტის სამტრედიის №2 სამშენებლო სამმართველოში დაიწყო, აქედანვე დაიწყო მისი, როგორც რკინიგზელის შრომითი ნათლობა. დღესაც სიამოვნებით იხსენებს იმ წლებსა და სამმართველოს მაშინდელ უფროსს, ბატონ გენო კოპალეიშვილს.

ამჟამად ბატონი ჯონი საქართველოს რკინიგზის სალიანდაგო სამმართველოს ინჟინერია.

"სალიანდაგო სამმართველოს გამართულ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული მატარებელთა, შესაბამისად, მგზავრთა უავარიო, უსაფრთხო მოძრაობა. სალიანდაგო სამმართველოს ბატონი მამუკა ვაშაკიძე ხელმძღვანელობს, მისი მოადგილე ბატონი გივი ჩაჩუაა, რეგიონის უფროსი კი, ბატონი აკაკი შილაკაძე. ისინი ყველაფერს აკეთებენ სამმართველოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და თანამშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მუშის საშუალო ხელფასი 700, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა 100-1200 ლარამდეა. სამმართველო დასავლეთ საქართველოს რკინიგზას ემსახურება, ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ წარმატებით გავართვათ თავი რკინიგზელის რთულ და უარღესად საპატიო მოვალეობას". _ გვეუბნება ბატონი ჯონი და იმ მოწინავე რკინიგზელების შესახებაც გვიყვება, რომელთა მხარდამხარ მუშაობს და წარმატებულები არიან: მურთაზ მსხილაძე, კობა ართქმელაძე, თენგიზ ახობაძე, ნოდარ დოლიძე, დემურ ჭილაია... ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. _ დასძენს ჩვენი რესპონდენტი.

კარგი და ცუდი ამინდი რას მიქვიან, ზაფხულის ხვატსა თუ ზამთრის სუსხში, ქარში, ყინვაში ყოველთვის ფხიზლობენ სალიანდაგო სამმართველოს თანამშრომლები, მათმა ყურადღების მოდუნებამ გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოიტანოს, რამდენადაც რთული, ამავდროულად საპატიო და ვაჟკაცურია მათი პროფესია.

დადის რკინიგზელთა ქალაქში უკვე ღვაწლმოსილი, სამი შვილისა და ოთხი შვილიშვილის მამა და ბაბუა, ბრწყინვალე ოჯახის თავკაცი, გულით მოყვასის სიყვარულს რომ დაატარებს და ჩვენი ქვეყნის ბედნიერ მომავალზე ოცნებობს.

საახალწლო კეთილი სურვილებით დაგვემშვიდობა რესპონდენტი. ჩვენც გილოცავთ, ბატონო ჯონი, ღმერთმა მრავალი ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგითენოთ თქვენ, თქვენს ოჯახსა და სამტრედიელ, ქართველ რკინიგზელებს, სრულიად საქართველოს!

მალე კიდევ ერთხელ მოვა ახალი წელი

თეა ბაბუნაშვილი

მალე კიდევ ერთხელ მოვა ახალი წელი. ვისაც უნდა იწუწუნოს, რა საჭიროა ორი სათაურივით ორი ერთნაირი დღესასწაული-ი. მოვა და მოვა, ძველით ახალი წელი ჰქვია და კიდევ ერთხელ მოიტანს ხვავს და ბარაქას, ჯანმრთელობას და სიხარულს, მშვიდობას და ბედნიერებას, ერთი სიტყვით, ყველაფერს საუკეთესოს. იმ წუგბარივით ტკბილად დაგვიბერდით, საახალწლო სუფრას ზოგიერთ ოჯახში მწირად, ზოგანაც უხვად რომ ამშვენებდა. როგორც იმ სიმღერაშია, ოცნებების ასრულების წელი იწყება, ვინდათ სიმღერ-სიმღერით და ვინდათ პოლიტიკურად, ორივე საჭიროა ჩვენთვის და ქვეყნისთვის!

ახლა კი ის, რისთვისაც დავიწყეთ... ძველით ახალი წლის წინ უბრალოდ შეგახსენებთ, რომ 31 დეკემბრის ღამე უდაოდ ლამაზი იყო სამტრედიაში. ქალაქის ქუჩებს მოდებული სანტები და ქართული თოვლის ბაბუა თანამედროვეობის საახალწლო ნაზავია. ჰოდა, მაინცადამაინც იმ საღამოს გააწვიმა გაზაფხულის ყაიდაზე მოწყობილმა დეკემბრის ბოლო დღემ, თორემ მხიარული მსვლელობა გაცილებით მასშტაბური იქნებოდა საახალწლოდ ზღაპრულად განათებულ სამტრედიის ქუჩებში. მუსიკის ჰანგებს აყოლილი სანტების და თოვლის ბაბუას მართლაც, რომ შთამბეჭდავი გახლდათ. ხვავი და ბარაქა მომაქვსო, ჩიჩილაკივით თეთრწვერიანმა, თეთრ ნაბადში გახვეულმა თოვლის პაპამ. მაგრამ ისე როგორც ადრე, ახლა არავის უკითხავს მისთვის "მობრძანდები საიდან?" და ბუნებრივია, არც მას დასჭირვებია ეპასუხა: "თქვენი ვენახებიდან, ბაღებიდან მოვდივარ!" კიდევ კარგი, თორემ იქნებ ეჭვიც შეგვპაროდა ჩვენი ბაღ-ვენახებიდან წამოსულის ბარაქიანობაში.

ღონისძიებას ორგანიზება კულტურის სამსახურმა გაუწია. მისი ხელმძღვანელის, ნატალია მანჯგალაძისა და ამავე სამსახურის უფროსი სპეციალისტის, ნათია გოგოძის, მათთან ერთად სამსახურის ყველა თანამშრომლის მონდომება, ნერვიულობა და დაძაბულობა, ნამდვილად ღირდა იმ სანახაობად.

ქალაქი კი ლამაზია, იმდენად ლამაზი, პოლიტიკურ მოვლენად ქცეულ საახალწლო განათებებში წუნს რომ ვერ დასდებ ხელისუფლებას. ასეთი რამ, ალბათ, მხოლოდ საქართველოში ხდება, მაგრამ ხომ ხდება და ჩვენც აღვნიშნეთ, რა თქმა უნდა! დედაქალაქისგან განსხვავებით, გემოვნებაზე დავის მიუხედავად, არც ნაძვის ხე დაიწუნებოდა. უამინდობის გამო კულტურის ცენტრის სცენაზე გაიმართა ღია ცის ქვეშ ჩასატარებელი კონცერტი, ქუთაისიდან ჩამოსული მომღერლების მონაწილეობით.

31 დეკემბრის ღამის კულმინაცია, ზუსტად 12 საათზე, ძველი და ახალი წლის გასაყართან მართლაც რომ ზღაპრული ფოიერვერკი გახლდათ. დიახ, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი საუკეთესო მთელ საქართველოში!

რამდენიმე დღეში კიდევ ერთხელ შევხვდებით ახალ წელს, ამჯერად, როგორც ეძახიან ხოლმე ქართულს, ძველს და ნაღდს!

გილოცავთ! ფეხბედნიერი მეკვლე ყოფილიყოს ეს წელიწადი ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის!

სანტა ლაპლანდიიდან ქართულ ნაძვის ხესთან

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტს მსოფლიო მშვიდობის კეთილი ნების ელჩი, სანტა კლაუსი ეწვია. ამ პროექტის ინიციატორები არიან საქართველო-ფინეთის მეგობრობის ასოციაცია "თბილისი-ჰელსინკი და ევროპული ალიანსი საქართველოსათვის", ფინეთ-საქართველოს ურთიერთობათა საერთაშორისო ცენტრი "საქართველო დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად" და ფინეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროები.

სანატრელი სტუმრის ლოდინი ცენტრალურ ნაძვის ხესთან შეკრებილ ბავშვებს და მშობლებს კარგა ხანს მოუწიათ. ლაპლანდიელი სტუმრის გამოჩენამდე მისი თანმხლები ელფები და გნომები გამოჩნდნენ, ერთ-ერთი თანმხლები პირი შეკრებილ ბავშვებს შოკოლადით გაუმასპინძლდა. ვიდრე ცენტრალურ ნაძვის ხესთან გამოჩნდებოდა, სანტა ნატალია კვანტალიანის სახელობის სამტრედიის სისხლის ცენტრალურ ბანკს სტუმრობდა, სადაც ერთ-ერთი დონორი გაამხნევა და სისხლის ბანკის თანამშრომლებთან ერთად სამახსოვრო ფოტოც გადაიღო.

სამტრედიელმა ბავშვებმა სანტას სტუმრობით ძალიან გაიხარეს და საყვარელ სტუმართან სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს, შეკრებილთა განწყობის ამაღლებაზე შოუ-ბალეტ "ფანტაზიის" პატარა მოცეკვავეებმა და ხელმძღვანელმა ქრისტინა ზაქრაძემაც იზრუნეს.

"სამტრედიის მაცნემ" კომენტარი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს სთხოვა. მუნიციპალიტეტის მერი ვალერი ფოცხვერია:

"ბავშვები დიდი მოლოდინით არიან. ნაძვის ხე რომ აინთო, ჩვენ გვყავდა ქართული თოვლის ბაბუა, ახლა ელოდებიან ლაპლანდიიდან ჩამოსულს, გილოცავთ ყველას ახალ წელს, ბედნიერი ყოფილიყოს იგი ყველასათვის. ჩვენ უკვე შევცვალეთ საჩუქრების დარიგების წესი, ოჯახებში მიგვაქვს მიზნობრივად, შინ ვუგზავნით საჩუქრებს იმ ადამიანებს, ვინც ამას საჭიროებს."

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბახტაძე: "წლიდან წლამდე ვცდილობთ გავაუმჯობესოთ საახალწლო მოწყობა, სათანადო ინფრასტრუქტურა, წლეულსაც განსაკუთრებულად შევხვდით ახალ წელს, ვულოცავ ჩვენს პატარებს ახალი წლის დადგომას, ვუსურვებ ჩემს სამშობლოს მშვიდობას, ყოველივე საუკეთესოს, დღეს ველოდებით კეთილი ნების ელჩს ფინეთიდან, ლაპლანდიიდან ჩამოსულს, ნამდვილ სანტა კლაუსს, ჩვენმა მეგობარმა, სამტრედიის ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკის ხელმძღვანელმა, ლაშა კვანტალიანმა, შემოგვთავაზა სამტრედიელი ბავშვებისთვის მისი ჩვენება, ჩვენ ველოდებით მას.

იმედი მაქვს, მისი ვიზიტის შემდეგ ჩვენს ქალაქს და სამშობლოს ცოტა ზამთრის სახე მიეცემა და თოვლიც გაახარებს ჩვენი მუნიციპალიტეტის პატარებს".

ვისაც ლიტერატურა უყვარს

თანამედროვე ტექნოლოგიები წიგნს ვერასოდეს ჩაანაცვლებს

ნათია ნაცვლიშვილი

გოგა ქათამაძე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ისტორიის სპეციალობით ეუფლება ცოდნას. ის ჩვენს რუბრიკაში "ვისაც ლიტერატურა უყვარს" სტუმრობაზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.

_ მამაკაცები ჰუმანიტარულ დარგებს ნაკლებად ირჩევენ, რამ განაპირობა თქვენი ჰუმანიტარული პროფილით დაინტერესება?

_ ალბათ იმან, რომ ადამიანს მომავალი იქითკენ უნდა მიჰყავდეს, სადაც თავისი თავი ყველაზე კარგად წარმოუდგენია.

_ როგორ ფიქრობთ, რა ფენომენია წიგნი, ხომ არ გაუჭირდა მას ტექნოლოგიების გაბრწყინების საუკუნეში? თავად სად ამჯობინებ კითხვას, წიგნში თუ კომპიუტერში, თუნდაც, მობილურის ეკრანზე?

_ წიგნს ვერასოდეს ჩაანაცვლებს თანამედროვე ტექნოლოგიები, მიუხედავად იმისა, რომ წიგნის პოპულარობა დღითიდღე იკლებს და მის ჩანაცვლებას ცდილობს კომპიუტერი. ეს იმიტომ, რომ ადამიანები კომპიუტერს თვლიან სწრაფი ინფორმაციის წყაროდ, თუ რამდენად ხარისხიანია ეს წყარო, ეს უკვე სხვა საკითხია. მე, როგორც სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელი, ვთვლი, რომ სოციალური ქსელები ახალი ინფორმაციის მისაღებად მარტივი საშუალებაა, სხვა პატარ-პატარა დადებით დახმარებებთან ერთად.

რაც შეეხება წიგნთან ურთიერთობას, ეს არის სხვა სამყაროში გადასვლა, მოგზაურობა, გრძნობების აღქმა, სილაღე, სიბერე, ბავშვობა, ტკბილი მოგონებები, ალბათ, ერთხელ მაინც წარმოუდგენია მკითხველს თავი ნაწარმოების პერსონაჟად.

_ რა ჟანრის წიგნებს კითხულობთ სულმოუთქმელად? არის ავტორი, რომელიც თქვენთვის ძალიან პოპულარულია?

_ სულმოუთქმელად ვკითხულობ წიგნს, როცა ხასიათი თავისუფალია და ავტორი გრძნობებით საუბრობს.

_ თანამედროვე კრიტიკოსების მოსაზრების თანახმად, ამ საუკუნეში სულიერი ღირებულებების კრიზისია, რასაც წიგნთან ადამიანის გაუცხოებამ შეუწყო ხელი, როგორ ფიქრობთ, თქვენი თაობის ახალგაზრდებმა როგორ უნდა დაძლიონ გლობალიზაციით მოტანილი ეს პრობლემა, რომ მეტად ფოკუსირდნენ გრძნობიერ სამყაროზე და არ წაგვლეკოს პრაგმატულმა, მატერიალურმა, დროებითმა?

_ პრაგმატული, მატერიალური, დროებითი ადამიანს ანგრევს და უკუსვლით მიჰყავს იმ შემთხვევაში, როცა ის შორს დგას წიგნებისაგან.

_ გაიხსენეთ წიგნი, რომლის გარშემო ბევრი გიმსჯელიათ მეგობრების წრეში?

_ გავიხსენებდი ჯემალ ქარჩხაძის "იგი"-ს, მოცემულ ნაწარმოებზე საუბრისას მკითხველი იმდენად ემოციებშია, რომ შეუძლებელია, გულგრილად და ზედაპირულად გვესაუბროს მასზე. შესაბამისად, სამეგობრო წრეში სასიამოვნოა ამ თემაზე მსჯელობა.

_ გაგიმეტებიათ ბოლო გროში წიგნში?

_ გულახდილი ვიქნები და გეტყვით კი.

_ ქართველი ავტორებიდან ვის გამოარჩევთ?

_ მათგან გამოვარჩევ ილია ჭავჭავაძეს და ნოდარ დუმბაძეს.

_ უკაცრიელ კუნძულზე რომელ წიგნს წაიღებდით?

_ რამდენიმეს, მაგრამ ერთ-ერთი აუცილებლად იქნებოდა ჭაბუა ამირეჯიბის "დათა თუთაშხია".

_ საყვარელი ლექსი რომელია?

_ გალაკტიონის "მთაწმინდის მთავარე".

_ გვითხარით რომელიმე ციტატა საყვარელი ტექსტიდან, რომელიც ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმად გამოდგება.

_ ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმად გამოვიყენებდი მაგალითად, ილია ჭავჭავაძის სიტყვებს: "მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არ გამოვიტანთ".

სამტრედიელი გოგონას საკონკურსო ნამუშევარი დაიბეჭდა

ნათია ნაცვლიშვილი

კონკურსი "ახალგაზრდა ხელოვანი" საქართველოში, რამდენიმე წელია იმართება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას და ხელშეწყობას ისახავს მიზნად. წლევანდელ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იმერეთის რეგიონში გამარჯვებული, ხატვისა და წერის ნიჭით დაჯილდოებული სამი მოსწავლე გაიგზავნა. საქართველოს მასშტაბით შერჩეულმა ნიჭიერმა ახალგაზრდებმა 5 დღე შემოქმედებითად გაატარეს ბანაკში, სადაც გამოვლინდნენ განსაკუთრებულად წარმატებული ახალგაზრდები.

70 ფინალისტის ათი საუკეთესო ნაწარმოები შერჩა და წიგნად გამოიცა. ერთ-ერთის ავტორი, სამტრედიის მეოთხე საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე თამუნა ჯინჭველეიშვილია. "სამტრედიის მაცნე" ულოცავს ამ წარმატებას თამუნას და კიდევ არაერთის ელოდება მისგან.

ჩვენთან საუბარში მან განაცხადა: "კონკურსის "ახალგაზრდა ხელოვანი" ფინალი, მოვეხსენებათ, რაჭაში გაიმართა, სადაც ჩვენთან ერთად კიდევ ორი გამარჯვებული სამტრედიელი იღებდა მონაწილეობას, ასევე ფინალისტის სტატუსით, ესენი არიან მწერალი თემო გერაძე და მხატვარი მამუკა ტალაბაძე. ჟიურის წევრებმა, მწერალმა ოთარ ჯიერკვალიშვილმა და პოეტმა ლექსო დორეულმა შემოგვთავაზეს შემდეგი თემა: "მეგობრის ოთახში ვარ, აქ საიდან აღმოვჩნდი, არ ვიცი, მაგიდაზე წერილი დევს". ამ თემაზე 5 დღის განმავლობაში უნდა გვეფიქრა და ჟანრის თუ მოცულობის შეზღუდვის გარეშე უნდა დაგვეწერა. 70-მდე ფინალისტის ნაწარმოებიდან შეირჩა ათი საუკეთესო, მათ შორის, ჩემდა გასაკვირად, მეც აღმოვჩნდი, ჩემი მოთხრობა "ნამნამგოიანი" საბავშვო ლიტერატურის ჟანრს განეკუთვნება, ხოლო მოთხრობის სათაური ასოციაციაა ორ მთავარ პერსონაჟთან "ნამნამთან" და "გოისთან", თუმცა ცხადია, ამ ორს შორის დომინანტი პირველია. წიგნი დაიბეჭდა და 23 დეკემბერს საქართველოს დედაქალაქში მისი პრეზენტაციაც შედგა, სასიხარულო ფაქტია, რომ კონკურსის ორგანიზატორები გეგმავენ ამ მოთხრობების ბრაილის შრიფტით დაბეჭდვას უსინათლოებისათვის, რაც კიდევ უფრო ამაღლებს ჩვენს განწყობას.

კონკურსი "ახალგაზრდა ხელოვანი" უკვე რამდენიმე წელია, ტარდება და ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენას უწყობს ხელს, მოხარული ვარ, რომ ისეთი ადამიანები გავიცანი, და იმ გარემოს ნაწილი გავხდი, სადაც ხელოვნება ერთ-ერთ უმაღლეს ცნებად აღიქმება".

მეორე საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე თემურ გერაძე:

"ბანაკში გატარებულმა ხუთმა დღემ უდიდეს სიამოვნებასთან ერთად მომცა გამოცდილება, შევიძინე მეგობრები და აღვივსე უამრავი საინტერესო ინფორმაციით, კიდევ უფრო დავრწმუნდი იმაში, რომ საქართველოს ისტორიაში ერთ ერთი საუკეთესო თაობა ვართ, ვულოცავ თამუნას მიღწეულ წარმატებას და არამარტო მას, ჩვენს ქალაქს ვულოცავ, რომ ჰყავს თამუნას მსგავსი ადამიანები, მჯერა, ის კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწევს".

როცა ასეთი სიყვარულია...

იზოლდა მასნავლებელი

კიდევ ერთი ღვაწლმოსილი სამტრედიელი, ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი, ბატონი ნიკოლოზ შენგელია გვეწვია ამ დღეებში რედაქციაში და წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის მარიოლოგიადიდებლური სკოლის პედაგოგის, ქალბატონ იზოლდა დვალის, შესახებ მოგვიყვა.

"თავად გახლავართ მოწმე და მხილველი, თუ როგორ უყვართ და აფასებენ ქალბატონ იზოლდას ჩემი შვილიშვილი და მისი თანაკლასელები, მოსწავლეები გვითხრა ბატონმა ნიკოლოზმა და განაგრძო:

"ქალაქ ქუთაისში დაიბადა იზოლდა დვალი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა სამტრედიის პირველ საშუალო სკოლაში დაიწყო, 21 წელია, რაც მართლმადიდებლურ სკოლაში მათემატიკის მასწავლებელია. მის ნიჭიერებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დიდხანს მუშაობდა ქუთაისის სამედიცინო ტექნიკუმში მათემატიკის მასწავლებლად, შემდეგ კი, სამედიცინო კოლეჯში დირექტორის მოადგილედ. ღვაწლმოსილი პედაგოგი დღესაც აქტიურობით გამოირჩევა, გახლდათ პატრიარქის სტიპენდიანტი. მრავალი ჯილდოს მფლობელი პედაგოგისთვის ყველა ჯილდოზე მეტად აღმატებულია აღსაზრდელებისაგან მისადმი გამოვლენილი სითბო და სიყვარული, რაც ნამდვილად არ აკლია და რასაც ნამდვილად იმსახურებს ქალბატონი იზოლდა.

ახალი, 2020 წლის მობრძანებასა და დაბადების დღეს ვულოცავთ ამაგდარ პედაგოგს, კიდევ მრავალი თაობა დაეფრთიანებინოს". ვუერთებით გულწრფელ მილოცვას და ჩვენც პატივისცემით ვულოცავთ ქალბატონ იზოლდას.

ლევან გაბეჩავა

ნინო გუნიამ თავის მე-4 კლასელებთან ერთად შესანიშნავი საახალწლო კარნავალი მოაწყო

ნინო ნანიტაშვილი

2019 წელი მხიარულად გააცილეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-12 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. პედაგოგ ნინო გუნიას აღსაზრდელებმა მოწვეულ სტუმრებს არაჩვეულებრივი საახალწლო საღამო მიუძღვნეს.

მხიარული სანტას როლი თავად მოირგო მე-4 კლასის პედაგოგმა ნინო გუნიამ. ის ერთდროულად სტუმარიც იყო და მასპინძელიც. კეთილი სანტა თავის პატარებთან ერთად საათზე მეტი ზრუნავდა სადღესასწაულო განწყობა შეექმნა მე-12 საჯარო სკოლის დირექციისა და პედაგოგებისთვის, მშობლებისთვის და მოწვეული სტუმრებისთვის. მოსწავლეების ჩართულობით დაწყებითი კლასების ერთ-ერთმა საუკეთესო პედაგოგმა, ნინო გუნიამ, კიდევ ერთხელ დაუმტკიცა იქ მყოფ საზოგადოებას, რომ საქართველოს ღირსეული მომავალი თაობა ეზრდება.

საახალწლო კარნავალზე ერთმანეთს ენაცვლებოდა საუკეთესოდ მომზადებული საკონცერტო ნომრები: ცეკვები, სიმღერები, სკეტჩები და საკონკურსო ნომინაციები, რომელიც მიუკერძოებელმა ჟიურიმ მაქსიმალური ქულებით შეაფასა.

ღონისძიება მუსიკალურად და მხატვრულად გააფორმეს მუსიკის პედაგოგმა ლელა გოლიაძემ და ქორეოგრაფმა ეთერ აბრამიძემ. სკოლის დირექტორმა ნინო ონიანმა მადლობა გადაუხადა ნინო გუნიას, მის მოსწავლეებს და მშობლებს შესანიშნავი ღონისძიებისთვის და ყველას დამდეგი, 2020 წელი წინასწარ მიულოცა.

მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ მე-10 ბაგა-ბაღის მმართველი ქეთევან შაშიაშვილი, სამტრედიის სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლები, რომლებიც საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ საახალწლო კარნავალის მონაწილეების მისამართით.

მეორესკოლელთა ამაღლებული საახალწლო განწყობა

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მეორე საჯარო სკოლის დარბაზს დიზაინერების დიდი შრომის კვალი ატყვია, დეკორაციები ძალზე შთამბეჭდავია, როგორც სკოლის დირექტორმა თეა კარტოზიამ გვითხრა, ულამაზესი გარემოს შექმნაზე, დაწყებითების პედაგოგებთან ერთად, მშობლებმაც იზრუნეს. აი, საახალწლო ჰანგებიც გაისმა და ლამაზად მორთულ სცენაზე ულამაზეს სამოსში გამოწყობილი პატარები შემობრძანდნენ. ღონისძიებაში პირველიდან მეექვსე კლასების მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. 1-ლი კლასი (დამრიგებელი ხათუნა ნიკურაძე), მეოთხე ბ კლასი (ლია თელია), მეოთხე ა კლასი (მარინა ადეიშვილი), მეხუთე კლასი (ვერა ჯიჯელავა), მეექვსე კლასი (ვიკა ვეკუა). შესანიშნავი სიმღერებით და ცეკვებით, მართლაც, ამაღლებული განწყობა შეგვიქმნეს პატარებმა. ძალიან კარგად და საინტერესოდ მოგვითხრეს საახალწლო ეროვნული ტრადიციების, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არსებული ადათების შესახებ. შეასრულეს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი სიმღერები.

წარუმლელი შთაბეჭდილება დატოვა მსმენელზე სკოლის მოსწავლეების მიერ ხალხური სიმღერების გუნდურმა შესრულებამ. სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა მშობელს, თემურ დიასამიძეს, იმის გამო, რომ მან ძალიან მოკლე დროში შეძლო მოსწავლეების მომზადება, ბავშვებმა ბრწყინვალედ შეასრულეს "ხმა ამოიღე ჩონგურო". "წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა", "მრავალჟამიერი" და არაერთი სხვა სიმღერა.

ძალიან გაახალისა მსმენელი მეოთხეკლასელების მიერ მომზადებულმა იუმორისტულმა ნომერმა (დამრიგებელი მარინა ადეიშვილი). რადგან ახალი წელია, სახალხო კონტროლი საბავშვო კონტროლად იქცა და სკოლის ბუფეტს ეწვია, ქალბატონი მადონა კოიძე მცირედი შენიშვნებით შემოიფარგლა, დარღვევები ვერ აღმოაჩინა და ბავშვები სამახსოვრო სტიკერებითაც კი დააჯილდოვა, თანაც ბუფეტში ნაყიდი ლობიანი ძალიან შეაქო.

არც ტრადიციული ფოიერვერკისა და ცეცხლოვანი ქართული ცეკვების გარეშე ჩაუვლია დღეს. ქართველ კაცს ლექსს რა გამოულევს, პატარებმა ასევე ბრწყინვალე დეკლამაციითაც მოიწონეს თავი მსმენლის წინაშე და ქართველ მწერალთა არაერთი საახალწლო ლექსი წარმოთქვეს.

დიდი დოზით სიყვარულზე დაფუძნებული ზეიმი

ნათია ნაცვლიშვილი

ნაბაკევის საჯარო სკოლის კედლებში მუდამ ნიჭიერების ზეიმია, საახალწლო კარნავალის გამართვის ტრადიციას, წლებია, არ არღვევს სკოლა. დირექტორი ეკა ჯამბურია თავად არის საინტერესო იდეების გენერატორი, ლონისძიებათა მუსიკალური გამფორმებელი, იუმორისტული სკეტჩების ავტორი, პედაგოგებისათვის მაგალითის მიმცემი. ამ სკოლისთვის უცხოა ბოლო ზარის ზეიმზე სცენარისტის დაქირავება, სცენარს დირექტორი და პედაგოგები ინტელექტუალ მოსწავლეებთან ერთად ადრიანად ქმნიან და წლის ბოლოს შესანიშნავ სანახაობაზე გვიწვევენ. ამიტომ, ჟურნალისტებს ამ სკოლაში სტუმრობა ყოველთვის გვიხარია. საახალწლოდ დღის პირველ ნახევარში პირველიდან მეექვსე კლასების მოსწავლეების ხელნაკეთი შესანიშნავი ნაძვის ხეების გამოფენა მოეწყო, შემდეგ კი ხალისიანი და მხიარული კარნავალი გაიმართა.

საგანგებოდ კოსტიუმირებულნი იყვნენ პედაგოგებიც. მერვე კლასის დამრიგებელი მარინა ვაშაყმაძეა, მათემატიკოსი ქალბატონის გავლენა გუნდის სახელწოდებაზეც იგრძნობოდა, "უსასრულობა" ასე ერქვა გუნდს. "ახალი წლის ელჩები" მეცხრეკლასელთა გუნდის სახელწოდებაა, ეს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, შორენა თადუმაძის, სადამრიგებლო კლასია. მეათეკლასელები "ახალი წლის ელჩები" იყვნენ, დამრიგებელი ნანი შენგელია, ხოლო მეთერთმეტეკლასელებში სრული მატრიარქატი იყო და ეს სახელწოდებაზეც აირეკლა. "სანტას გოგონები", დამრიგებელი ხათუნა ბაბუნაშვილი.

_ ეს კონკურსი დაფუძნებულია დიდი დოზით სიყვარულზე. _ განაცხადა გუნდების წარდგინების დასრულების შემდეგ ეკა ჯამბურიამ და დებიუტანტ გუნდებს წარმატება უსურვა გამოცდილ გუნდებთან შერკინებისას. დებიუტანტებმა მეორე ნომინაციაშივე მოახერხეს ჩვენი გაოცება, როცა შესანიშნავად წარადგინეს სადღეგრძელო, რომელიც დახუნძლული იყო იურიდიული ტერმინოლოგიით და კანონის პატივისცემისკენ მოგვიწოდებდა, ამით აშკარად მოიგეს ჟიურის იურისტი წევრის, ადვოკატ ლალი თადუმაძის, გული. ჟიურის შემადგენლობაში ასევე გახლდათ სკოლის პედაგოგი ნანა ჩომახიძე. შესანიშნავად შეასრულა ყველა გუნდმა მუსიკალური ნომრები, ისეთი მუსიკალური და შესანიშნავი პლასტიკის მქონე თოვლის ბაბუა, როგორიც საბა უღრელიძეა, ალბათ, ბევრ სკოლას შეშურდებოდა. საბას ცეკვის გარეშე არ დაუტოვებია არც ერთი მუსიკალური ნომერი, გუნდებმა შეასრულეს მსოფლიოში აღიარებული საახალწლო ჰიტები, ევროპულს შთამბეჭდავად ენაცვლებოდა ქართული ცეკვები, რომლებიც ამავე სკოლის მოსწავლეებმა, ნათია აქირთავამ და გურამ შენგელიამ დადგეს, იმთავითვე იგრძნობოდა, რომ მათთვის, ზოგადად, ურთიერთისადმი მზრუნველობა უფრო ფასეული იყო, ვიდრე რომელიმე გუნდის გამოკვეთილი პირველობა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა გია ყანჩელის უკვდავ მელოდიაზე შექმნილმა ქორეოგრაფიულმა ნომერმა. ნომინაციაში "იუმორისტული ესე" მოსწავლეებს შეთავაზებული რამდენიმე სიტყვისგან სახუმარო ტექსტის შექმნა დაევალათ, ამ დავალებას თავი ყველა მათგანმა შესანიშნავად გაართვა. საღამო არაჩვეულებრივად წაიყვანა სკოლის სპეციალურმა პედაგოგმა, რიმა ბიჩახჩიანმა.

"ჩემო ძვირფასო მოსწავლეებო, მასწავლებლებო, უღრმესი მადლობა, ძალიან კარგები ხართ, შთამბეჭდავები და ენერგიულები, მუსიკალურები. განსაკუთრებული მადლობა თქვენ, ჩვენო პედაგოგებო, რომ ასე გვერდით უდგეხართ თქვენს მოსწავლეებს, დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, ყოფილიყოს იგი სიხარულის, ბედნიერების და სიკეთის მომტანი. ერთმა ასტრონომმა გვითხრა ტელეეთერით, რომ კეთილსინდისიერება ყოფილა თურმე მთავარი შტრიხი ამ წლის, დაე, ქართველებს ამ ლოზუნგით გვეცხოვროს!"

ლალი თადუმაძე: "მასწავლებელი არის იგივე დედა, გამზრდელი, მასწავლებლის გარეშე ასეთი კარგი რეზულტატის დადება წარმოუდგენელია, ნებისმიერ სკოლას შეშურდებოდა ასეთი კარნავალი. ეს ნიჭიერება, ტალანტი, ემოცია, რასაკვირველია, თქვენი გენეტიკური მახასიათებლებია, მაგრამ მასწავლებელი არის ამ ყველაფრის წარმმართველი სწორი გზით, საქართველოს აქვს ძალიან დიდი გეოპოლიტიკური სტრატეგია, მჯერა, თქვენი თაობა შეძლებს იმ სათქმელის თქმას, რაც ვერ შეძლო ჩვენმა, 9 აპრილის თაობამ, გიყურებთ და მჯერა, თქვენ ამას შეძლებთ! თქვენ საქართველოს მომავალი ხართ!"

ემიგრანტის დღიურიდან

როცა მშია ზაქარია...

რა სჯობია, იქნებ ამიხსნას ვინმემ, ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოს, თუ, როცა კერძი ერთ პერსონაზე მზადდება, იქ მეორე ზედმეტია. ჩემი ბებიას ოჯახიდან შვილს წასვლა დააგვიანდა, მანქანამ დააგვიანა, უფრო სწორად, იმან დააგვიანა, ვისაც უნდა მოეკითხა. აქ ხომ წუთობითაა გათვლილი ყველაფერი. სადილი იტალიელმა ძიძამ მოამზადა და სუფრა ოთხ პერსონაზე გამაშლევინა, მეხუთე პერსონა იჯდა მშიერი და მანქანას ელოდა. სადაც მიდიოდა შვილიშვილი, იქ მზადდებოდა, მისთვის კერძი. აბა გავუყოთ, ყველას გვეყოფაო, ვინ იტყოდა. შემრცხვა ჭამა, გავწითლდი ქალი. როგორც იქნა, წავიდა და მშვიდად გავაგრძელე მაკარონიანი ლობიოს მირთმევა. ეგ არაფერი, ახალი წლის სუფრა პირველში გავაწყვეთ 7 პერსონაზე. ერთიც ვნახოთ და არ მოვიდა ბებოს მეორე ქალიშვილის შვილი მისი ქმარ-შვილით! ვზივარ და ვფიქრობ, რომელი მიხვდება, რომ ჩაამატოს თეფშები-თქო, ანდა აქ ხომ გათვლილი აქვთ თითო პერსონაზე ყველა ლუკმა-თქო, ვაი თუ, მე დამტოვონ მშიერი-თქო. ასე ვფიქრობდი, კიბორჩხალა რომ დავინახე სამზარეულოში და ლოკოკინები და რაღაც სასწაულები, ნეტა, მე არ შემხვდებოდეს-თქო, ან მეჭამა, ბავშვობაში სოფელში ბიჭებმა მდინარეზე რომ დაიჭირეს და დიდი გობით მოგვიტანეს გოგოებს-თქო, ახლა ხომ არ შევრცხვებოდი-თქო. მახსოვს, მეზობლის ბიჭი მეუბნებოდა (გარდაცვლილია ლადო), ჭამე, ამას ვინ გაჭმევს შენ, დელიკატესიაო, არ მინდა-თქო და კი ვიყავი გაშეშებული ამ იტალიელებთან, მივჩერებოდი ყველას ხელებსა და პირში, ვინ რას და როგორ ჭამდა, მეც რომ იგივე გამეკეთებინა. ჰოდა, კერძები ჯერ არაა მზად, ვფიქრობ, სად დასვამ ამ სამ პერსონას ასე გაუთვალისწინებლად-თქო, დავრეკავ ახლა ჩემს მეგობარ აზასთან ან ნინოსთან, დიდი ხანია, აქ ცხოვრობენ და მასწავლიან, როგორ მოვიქცე-თქო და ისე კაი აგიხდა, კი არ დაიწყეს ჩაცმა! საახალწლოდ მოსული სტუმარი ოჯახში, მკვიდრი შვილიშვილი მისი ქმარ-შვილით, ასე დაულოცავად გაუშვეს სახლში. ამოვისუნთქე, თქვენ გაიხარეთ, გადამარჩინეთ ფიქრს და ნერვიულობას-თქო. აბა, ჩემთან მოსულიყო სახლში იმერეთში, მამაჩემს რომელიმე შვილიშვილი სტუმრებოდა ოჯახით და სუფრა კერძებით დაიწყებდა შევსებას. თუმცა შევსების რა მოგახსენოთ, აქ ეტაპობრივად გამოაქვთ, თან გააქვთ ჭუჭყიანი თეფშები და გამოდის ახალი კერძები, ჰოდა, მამაჩემი და დედაჩემი გვეტყოდა და ყველა ქართველი, ამას რად უნდა თქმა, მობრძანდით, როგორ გაგვახარეთო. "ჰე, ჩეიწიეთ ახლა, ყველა დევეტევით, ყველი და პურიო, კეთილი გულიო." რა ვიცი, ჩვენ ასეთი წესისა და ადათის ვართ და ამათი რა მოგახსენოთ. ისე ჩემი საახალწლო სუფრა რომ ვაჩვენე ფოტოთი ჩემი ბებოს ქალიშვილს, ბრავისიმოო, კი მითხრა, მაგრამ ეგ ჩვენს ხვავში, სიკეთესა და ბარაქაში ვერასოდეს გაერკვევა. ბოლოს ერთს დავამატებ, რატომ არ გამოგვადგება აქ ქართული თავპატიჟი, ემიგრანტებო, იცით? არავინ არაფერს შეგეხვეწებათ, თუ რამე მოგაწოდეს, მიირთვით.

დასვენების დღე მქონდა ხუთშაბათი და ჩვეულებისამებრ რვაზე დავბრუნდი სახლში, შუადღეზე კი ვისადილეთ, მაგრამ საღამომდე ისევ მომშივდა. ბებომ მკითხა: გშიაო, გავიკრიჭე და არა-თქო ვუთხარი, კაიო, დამიქნია თავი. მერე მაგიდის გაშლა დამავალეს, მე ჩემთვისაც დავდე თეფში თავისი დანა-ჩანგლით, კოვზიანად და ბებომ თითი დამიქნია, ხო თქვი, არ მინდაო, ავიღე მე საცოდავმა და დავჯექი იქვე კუთხეში მშიერი. ვუყურებდი, როგორ შეექცეოდნენ ნაკლებად გემრიელ ვახშამს, ხომ გაგიგიათ, "როცა გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარიაო," მართლა მენატრება მაგი დალოცვილი მჭადიცა და ყველიც, მაგრამ სადაა.

ეკატერინა ჯანტურია

“თქვენს წამს გაუმარჯოს” პიპინია მიქელაძე

ჩემში პირადად დიდი ინტერესი აღძრა ჩვენი თანამემამულე პიპინია მიქელაძის მიერ განვლილი ცხოვრების გზამ და გადავწყვიტე, ის ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის გამეცნო. სამტრედიის ენციკლოპედია ამ მხრივ თანამემამულეთა შესახებ უხვ მასალას გვაწვდის.

უნდა აღინიშნოს, რომ მიქელაძეების საგვარეულოს ისტორიის და ამ გვარის წარმომადგენელთა შესახებ სათანადო წყაროებზე დაყრდნობით ენციკლოპედიისათვის საინტერესო მასალები მოამზადეს ბატონმა ჯიმი მიქელაძემ და მისმა მეუღლემ. ეს, მართლაც, საშვილიშვილო საქმეა. მადლიერების მეტი რა ითქმის!

<u>ნათელა გელეიშვილი</u>

სოფელ კულაშში, თავად კონსტანტინე მიქელაძის ტრადიციულ ოჯახში 1869 წელს დაბადებული და გაზრდილი პიმენ (პიპინია) მიქელაძე გამორჩეული ყოფილა ბავშვობიდან. პიმენის დედა, ეკატერინე ლორთქიფანიძისა, გადმოცემით განათლებული და ბავშვების საუკეთესო აღმზრდელი იყო, მამა, კონსტანტინე მიქელაძე, ნამდვილი არისტოკრატი, რაფინირებული ინტელიგენტი, დიდად პატივცემული და საზოგადოებაში მიღებული პიროვნება.

პიპინიამ განათლება ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში მიიღო (პედაგოგები იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვები).

პიპინია მიქელაძე აქტიურად მოღვაწეობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, ხოლო 1911-1914 წ.წ. მისსავე დაარსებულ შოთა რუსთაველის საზოგადოებაში. მოგვიანებით მსახურობდა სათავადაზნაურო ბანკში, ბოლოს კი ქუთაისის სახელმწიფო ბანკში. ცნობილია, რომ პიპინია მიქელაძეს და მის მეგობრებს, ჯაბა ლომინაძესა და სიმონ ეზიკაშვილს, ადრეულ პერიოდში, ჩამოყალიბებული ჰქონდათ კერძო სასამართლო _ “ჯაპისი” (ჯაბა, პიმენი, სიმონი), რომელიც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ემსახურებოდა ხალხს. მოგორც იტყვიან, მთელი საქართველო ქუთაისში ყოფილა თავმოყრილი, მათ შორის ილია ჭავჭავაძეც. სტუმრებს პატივისცემას ვინ მოაკლებდა, მითუმეტეს ილიას, სადაც კი მიიწვიეს ის, ყველგან თამადად პიპინია მიქელაძე დახვდა. ერთ-ერთ სუფრაზე ილიას უთქვამს პიპინიასათვის: “მომავალ წელს პატივი უნდა მიჩივანი, რომელიც სახელმწიფო სასამართლოში გზა-კვალსა და სამართალს ვერ იპოვნიდა, უმალ მიაშურებდა პიპინიას. ამ სამ “შედიატორს” მუდმივად გამოჰქონდა ობიექტური განაჩენი, რაც მომჩივან-მოპასუხის მადლობას იმსახურებდა.

პიპინია მიქელაძეს ხალხთან ურთიერთობის საოცარი უნარი გააჩნდა. მან თავისი ცხოვრების გზა კაცურკაცობით განვლო, ამიტომაც უკანასკნელი მოჰიკანი შეარქვეს ისეთმა ცნობილმა პიროვნებებმა, როგორებიც იყვნენ ბატონები: შალვა დადიანი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლადო ასათიანი.

პიპინიას ეკუთვნის ასეთი ფრაზა: “ქუთაისი უნდა გამოვაცხადოთ ნაკრძალად, სადაც უსაშვოდ შესვლის უფლება მხოლოდ დარბაისელ, ზრდილ, პატრიოტ ქართველებს ექნებათ”.

აღსანიშნავია პიპინია მიქელაძის ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესთან. 1896 წელს, ქუთაისში, საქართველოს მთავარეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე გარდაიცვალა. ანდერძის მიხედვით ის გელათში უნდა დაეკრძალათ, მაგრამ დიდთოვლობის გამო დაკრძალვა გადაიდო. დამდოთ და მეწვიოთ საგურამოში ილიაობაზე, თამადა უნდა იყოთო”. შეცბუნებულა პიპინია: თქვენთან, ბატონო ილია, სულ გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი და ასეთი ხალხია სუფრის წინამძღოლი, მე, აბა, რა თამადა უნდა ვიყოო!..

ილიას კი მოუჭრია: “იმერელო, მე თქვენ ერთხელ გთხოვეთ და...” პირველად უარის თქმის შემდეგ პიპინია დათანხმებულა და თავის მეგობრებთან ერთად სწვევია ილიას საგურამოში. მას უამრავი სტუმარი ჰყოლია. პიპინიას დიდებულად უთამადია, ბევრი სასიამოვნო სიმღერა უმღერიათ პიპინია და ბონდო მიქელაძეებს, კოკინია დგებუაძეს, დანიელა ურიას, კოტე გოცირიძესა და სხვებს. სადღეგრძელოთა რაოდენობის შემცირების მიზნით პიპინიას შეუსვამს სუფრის წევრთა სადღეგრძელო სიტყვებით: “თქვენ წამს გაუმარჯოსო”. როდესაც ჰკითხეს, თუ რას ნიშნავდა “წამი”, მას განუმარტავს: წარსულს, აწმყოს, მომავალს და იმედსო. პიპინია თავად არაჩვეულებრივი ხმის პატრონი და უბადლო მომღერალი, დიდ პატივს სცემდა მუსიკალური სამყაროს წარმომადგენლებს. მისი კერპები იყვნენ: ვანო სარაჯიანი, დავით ბადრიძე, კოკინია დგებუაძე, დანიელა ურია (ჯანაშვილი). საზოგადოების ნაწილს მიაჩნდა, რომ პიპინია იყო კარგი იუმორის პატრონი და კარგი მომღერალი. იგი, მართლაც, გახლდათ ასეთი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მას იცნობდნენ როგორც ინტელექტუალურ პიროვნებაS, რაც მას მიღწეული ჰქონდა თვითგანვითარების წყალობით. ასე იცნობდა მას ნიკო ლორთქიფანიძე, სარგის კაკაბაძე, გოგლა ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი და სხვები.

პიპინიას მეუღლე _ ქალბატონი ევგენია ნასარიძე-მიქელაძისა პროფესიით ექიმი იყო. 60 წელზე მეტი იმუშავა ექიმ-სტომატოლოგად ქუთაისში. ვაჟი _ არჩილ მიქელაძე მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწეა, პროფესორი. ექიმები არიან შვილიშვილები, მერაბი და ირაკლი მიქელაძეებიც.

ერთი სკოლის ისტორია

ჩემი სკოლა

რკინიგზის სამტრედიის №14 საშუალო სკოლა ჩემი სკოლაა, სადაც გავატარე ბავშვობა, დაუვიწყარი ლამაზი მოგონებებით, ძვირფასი პედაგოგიური კოლექტივით. სუფევდა ინტელიგენციის თავყრილობა, კულტურა, განათლება, ურთიერთპატივისცემა.

სიზმარივით გაფრინდა წლები. ორმოცდაათი წლის წინ მიმიყვანა იქ (მაშინდელი №24-ე) მამამ. სკოლის დირექტორი ქალბატონი თალიკო მიქაძე იყო, შემდეგ ბატონი გიორგი კანდელაკი, დინჯი, დარბაისელი პიროვნება. პირველი მასწავლებელი მარო ნაცვლიშვილი მყავდა. ახლაც ჩამესმის მისი ხმა: “ციცინათელა მქვია, მე პატარა ვარ, პატარა”.

ძნელი იყო სკოლაში, რომელიმე მასწავლებელი არ გყვარებოდა, ამიტომ ყველა საგანიც ერთნაირად მიყვარდა. მხატვრული კითხვა, ღონისძიებებში მონაწილეობა ქალბატონი ქსენია გოგოძის დამსახურება იყო, შემდეგ კი... ქალბატონი შურა კახაძე. მისი პირველი გაკვეთილი ჩემს კლასში ასე დაიწყო: “ჩემო ძვირფასებო, თქვენს წინაშეა მოხუცი, კბილებჩაჩეჩქვილი მასწავლებელი, რომელსაც თქვენს მეტი არაფერი ახარებს”-ო. შურა მასწავლებლის ყველა გაკვეთილი სპექტაკლი იყო. მის თვალსა და ყურს არაფერი გამოეპარებოდა.

მამიდაჩემმა, ზაირა მიგინეიშვილმა, ჩვენი სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. ბებიაჩემს მისი “თემები” შენახული ჰქონდა და მე მომცა: “იქნებ, გამოგადგესო”. მეც ავდექი და თემა გადავწერე, გაკვეთილზე შურა მასწავლებელმა თემა წამაკითხა, შემდეგ ღიმილიანი სახით სათვალის ქვემოდან გამომხედა და მითხრა: “სად ნახე, მარინა, ეს “ჩელტი”? 15 წლის წინ მამიდაშენმა წამიკითხა ასე მონდომებით, ყოჩაღ, როგორ საშვილიშვილოდ შეუნახავს”-ო. დამარიგა: “ორი აბზაცი დაწერე და შენი აზრი იყოს”-ო. მე და შურა მასწავლებელი ჩემი სკოლის დამთავრების შემდეგაც ვმეგობრობდით. მას ძალიან უხაროდა ჩემი სტუმრობა, გულთბილად მიმასპინძლდებოდა და ცხოვრებას მასწავლიდა: “კარგია განათლება, მაგრამ ოჯახი აუცილებელია”-ო.

არ შემიძლია, არ გავიხსენო ქალბატონები: თამარ ჯანელიძე (ახლა შენი შეთხზული ისტორია არ მინდა, წიგნის ენით მესაუბრე), ქსენია ღაღანიძე, ქსენია დოლიძე, ელენე ხურცილავა, გულიკო მებუკე, ელენე მიქაძე, ტატიანა ტაბიძე, მანია წურწუმია, ლილი კაზაროვა, ვერუშა ვაშაკიძე, ნანი მაჩიტიძე, ცაცა ქავზინაძე (იჩქარე, მაგრამ არ შეცდე), ნანა წიქორიძე, ზინა გაგუა, ეთერ ჭანტურია, ჩვენი სკოლის მემატიანე ქალბატონი თალიკო ქართველიშვილი; ბატონები: ილია გოგოძე, გოგიტა მაჩიტიძე (ბიძი) დავით ანდრიაძე, გივი ადეიშვილი (გენიოსა). საშა ბიბილეიშვილი (ლუი დე ფიუნესი) საშა გელეიშვილი (ფანტომასი) და სხვები.

რკინიგზის სამტრედიის №14 საშუალო სკოლა ყოველთვის აქტიურობით გამოირჩეოდა, სკოლაში მუშაობდა დამსახურებული მასწავლებელი, ლოტბარი სერგო მუქერია. ქორეოგრაფი გიორგი (ჟორა) კეშელავა.

მე ოლიმპიადებში ვმონაწილეობდი. ჩემი სკოლა მრავალგზის ლაურეატი იყო. იგი არა მარტო სასკოლო, არამედ რაიონულ ღონისძიებებშიც მონაწილეობდა. მეექვსე კლასში ვიყავი, რკინიგზის კლუბში (დირექტორი ზაურ ჯანელიძე) სამუსიკო სკოლის დირექტორმა ოთარ შანიძემ დადგა პოეტ კარლო კალაძის პიესა “როგორ”. ეს იყო დღეს უკვე მსახიობ დავით კვირცხალიას (თუ არ ვცდები) სადიპლომო _ დებიუტი, რომელიც, მგონი, მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა. მიხაროდა, რომ პიესაში ბატონი ბიძინა კოკაჩეიშვილთან, ოთარ შანიძესთან, ზაურ ჯანელიძესთან, ზვიად ვაშაკიძესთან, ქალბატონ დარეჯან ჩაჩუასა და სხვებთან ერთად ჩემი კლასიდან მე და ელზა რინკავიო (ნამცეცა) ვმონაწილეობდით.

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები რა დაგვავიწყებს ფიზიკაზრდის მასწავლებლებს: გივი კალაძეს, გენო მუქერიას, ქალბატონ თამარ რუხაძეს. მათ მრავალი სპორტსმენი აღზარდეს, მინდა, ჩემი კლასელი ამბერკი ტაბიძე გავიხსენო, იგი ცნობილი ხელბურთელი იყო.

ტკბილი ლუკმა ბოლოს “ჩემი კაკალაა”.

რკინიგზის სამტრედიის №14 საშუალო სკოლის პიონერთა ხელმძღვანელს ლამარა (კაკალა) ოდიშარიას ეხუმრებოდნენ: “პიონერთა ხელმძღვანელების სამჭედლო გაქვს”-ო, მარტო ჩემი კლასიდან სამნი ვიყავით: მე, ელზა რინკავიო და დარეჯან გელეიშვილი, ციცინო არუთინოვზე, ქეთინო კეშელავასა და სხვებზე რომ არაფერი ვთქვა. ქალბატონ კაკალამ შემაყვარა პიონერთა სახლი ქალბატონი ნარი თევზაძე-ძნელაძე, ქალბატონი მაყვალა ჩაჩუა, მისი ღიმილი, სითბო დაუვიწყარია, შოთა რუსთაველის 800 წლისთავთან დაკავშირებით ბორჯომში, სოფელ გვერდისუბანში მოეწყო საკავშირო შეკრება “ჩემი ვეფხისტყაოსანი”. ჩემი სკოლიდან მე, №13 სკოლიდან მარინე სულაქველიძე და საჯავახოდან მადონა თარგამაძე წაგვიყვანა მაყვალა ჩაჩუამ. იგი გვამხნევებდა, გვეფერებოდა, ჩვენც ვასახელეთ. ქალბატონი მაყვალა არა მარტო ჩემთვის, ჩემი შვილებისთვისაც საყვარელი პიროვნება იყო.

რკინიგზის სამტრედიის №14 საშუალო სკოლის პედაგოგების გაკვეთილები, სითბო და სიყვარულია, ალბათ, ის ჩირაღდანი, რომელმაც გზა სკოლისაკენ გამინათა. სკოლის შემდეგ ჩემი აღზრდის კერა გახდა ალკა, სამტრედიის კომკავშირის რაიკომის მესვეურები: ქალბატონი ნათელა გელეიშვილი, ლევან ჩხეიძე, მურად მუქერია, ქეთინო ახობაძე და კიდევ ერთხელ მინდა დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და მადლიერებით მოვეფერო ქალბატონ ლამზირა მელქაძეს, უკეთილშობილეს ადამიანს.

დავამთავრე ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტი, ვმუშაობდი ძველი სამტრედიის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი ჯაბა კალაძე). საჯავახოს საშუალო სკოლაში (დირექტორი ვიოლეტა შუბლაძე), სამტრედიის №1 საშუალო (ახლა სსიპ №1 საჯარო) სკოლაში დირექტორები: მიხეილ მესხი, ხათუნა ფაილაძე. დაჯილდოებული ვარ დიპლომებითა და სიგელებით. როგორც კი გავხდი პენსიონერი, წამოვედი სკოლიდან. მიხარია ჩემს კოლეგებსა და მოსწავლეებთან შეხვედრა. მოსაგონებელი მრავლად გვაქვს. ვგრძნობ მათგან მონატრებას, სიყვარულს, სითბოს, რომელიც ძალიან მახარებს.

ვარ ქორეოგრაფ რამაზ კაცაძის მეუღლე, მყავს სამი შვილი და ჯერჯერობით, სამი შვილიშვილი. ლუკა და საბა ცხადაძეები, ელენე კაცაძე. მათ სიამოვნებით ვუყვები, თუ როგორ მიყვარს ჩემი რკინიგზის №14 საშუალო სკოლა.

<u>მარინა მიგინეიშვილი</u>

ახალი წლის სამზადისი

ცნობილი ქართველი მწერალი მარიამ გარიყული (თათეიშვილი) დაიბადა ხონის რაიონის, სოფელ გუბში. ბავშვობაში ის იზრდებოდა დიდ ჯიხაიშში, დედულეთში, ბებიასთან (ელისაბედ გუბელაძე) და ბაბუასთან (როსტომ ლეჟავა). მარიამ გარიყულის "განვლილი გზა" სწორედ მისი თვალით დანახულ რეალურ ფაქტებზეა აგებული და საინტერესო ცნობებს გვაწვდის წარსულიდან.

შემოგთავაზებთ ეპიზოდს მარიამ გარიყულის მემუარებიდან, რომელიც სოფელ დიდ ჯიხაიშში, როსტომ ლეჟავას ოჯახში დამკვიდრებული ძველი ჩვეულების შესახებ მოგვითხრობს, ვფიქრობ, მკითხველი გულისხმიერად გაეცნობა.

ნათელა გელეიშვილი

უნდა მოვიგონო ძველი ჩვეულებანი. ახალ წელიწადს განსაკუთრებულის სამზადისით ხვდებოდნენ. მოიხარშებოდა დედლები, საშობაოდ დაკლული ღორის თავი, დაცხვებოდა ღვეზლები, ყველაფერს ამას დიდ თაბახზე დააწყობდნენ, ზედ დაურთავდნენ ვაშლს, კომშს, ბროწეულს, მსხალს და ყურძენს, გოზინაყის გაკეთება არ იცოდნენ, სამაგიეროდ იმერულ გამხმარ ჯანჯუხს მოუწყობდნენ გვერდით. ბიძაჩემი გამოთლიდა ჩიჩილაკს, აიღებდა თხილის მსხვილ, სწორ ტოტს, კანს გააცლიდა და დაუწყებდა თლას ხშირ თმასავით, წმინდა თეთრი ბურბუშელა იხვეოდა და ზედვე ხუჭუჭდებოდა, გურიაში მას "ბასილეს წვერებს" უწოდებდნენ. უბრალო ჯოხი, ბამბის დიდ ქულასავით გაშლილ-გადაპენტილ ხუჭუჭა წვერებად გადიქცეოდა. ზედ ათას რამეს შეაბნევდნენ, აბრეშუმის ფერად ნაჭრებს, აბრეშუმისვე მულო ძაფს, შეღებილ კაკალს, წითელ კურკანტელას და მსხვილ ფითრას. ჩიჩილაკს თავზე პაპა-ჯვარს გაუკეთებდნენ და ზედ წითელ ვაშლს დააჯენდნენ. ვაშლში ვერცხლის აბაზიანს ჩაარჭობდნენ. ბებია ამ გაწყობილ გობის გარბაზე ანთებულ სანთლებს მიაწებებდა. ჩვენ დიდ-პატარიანად გარეთ გამოგვისტუმრებდა, კარს ჩაიკეტავდა, მუხლებზე დაიჩოქებდა, გობს წაღმა ატრიალებდა და რაღაცას ლოცულობდა. ჩვენ ნიგვზის ტოტები ძირს უნდა ჩამოგვეწია, ზედ ჩხირები შეგვემტვრია და სახლში მიგვეტანა. ახალ წელის მოლოდინით აღტაცებულნი, მოთმინებით ველოდით როდის მორჩებოდა ბებია თავის საქმეს. გაიღებოდა სახლის კარი, ჩვენ ეს კაკლის ხეებიდან ჩამომტვრეული ჩხირები ბოსელში უნდა შეგვეტანა და ბაგაზე დაბმულ საქონლისთვის თავზე გადაგვეყარა.

გათენებისას ბებია ადგებოდა და ოდიდან სამზარეულოში წავიდოდა. ბავშვებს გაგვიძღვებოდა, თუ რამე ახალი ტანისამოსი გვქონდა, მოვირთვებოდით. ბაბუა აიღებდა საკვლევად გაწყობილ გობს. მას ერთ-ერთი ბავშვი უნდა გაჰყოლოდა.. ვისი ფეხიც კარგად ჰქონდათ დაცდილი, ამ ბავშვს ჩიჩილაკს და ღომის მარცვლით სავსე ქოთანს მისცემდნენ ხელში. დანარჩენ ბავშვებს გვშურდა იმ რჩეული ბავშვის ბედი, რადგან დიდი პატივით სარგებლობდა "მეკვლე". სუფრაზე ბაბუას შემდეგ, პირველი ადგილი ეჭირა, საუკეთესო ნაჭრები მისი იყო, ჩვენზე უფროსობას და უპირატესობას გრძნობდა, გვიბრძანებდა, დაგვავალებდა. მის გასაკეთებელ საქმეს ჩვენ გვაკეთებინებდა. ერთი სიტყვით, გვიჯაბნებდა, სანამ რომელიმე ჩვენთაგანი მოთმინებას არ დაჰკარგავდა და ბებიასთან არ შევიდოდა საჩივრად. ბებია სწორი გამსჯელი იყო, მან იცოდა თუ როგორ დაესაჯა თავგასული მამლაყინწა, ის მას არ გაუჯავრდებოდა, არც შეიმჩნევდა ბავშვებით უკმაყოფილებას. შემდეგში თანდათანობით დაგვტვირთავდა საქმით, ისე გაგვითანატოლდებოდა, რომ მოწინავე მბრძანებელს ნელ-ნელა ავიწყდებოდა თავისი მბრძანებლობა და ჩვენთან ერთად ეწეოდა ოჯახის სამსახურს, წყლის ამოღება იქნებოდა ის, კოინდარში გაფანტული ბატის ჭუჭულების მწყემსვა, ქორს რომ არ მოეტაცნა, თუ საღამოხანს შუკიდან მომდგარ საქონლებისათვის ჭიშკრის გაღება და ქართაში შეშვება.

ჰო, განვაგრძოთ ახალწლის აღწერა:

წავიდოდა ბაბუა და პირველად ვენახს მიადგებოდა, გააღებდა ვენახის კუტკარს, შევიდოდა შიგ, სასოებით მოავლებდა თვალს თავის ნაამაგარ, შვილივით გაზრდილ ვაზებს, მერე აიღებდა ღომის თავის მარცვალს და პეშვით გადააფანტავდა ვენახს: ამდენი კოკა მოსავალი, _ იტყოდა, შემდეგ მივიდოდა სასიმინდესთან _ ამდენი ურემი სიმინდი, ახლა ხულის კარებს შეაყრიდა მარცვალს _ ამდენი ღომი, ამდენი ფეტვი, ამდენი ცერცვი და ლობიო. ახლა ბოსელს მიადგებოდა, _ ამდენი საქონელი ამდენი ოთხფეხი, ცხვარი და ძროხა, ხარი და ცხენი მიეცი ღმერთო, ჩემს ოჯახს, საქათმეს გვერდს აუვლიდა, ვაჟკაცის საქმე არ იყო წვრილფეხობაზე ლოცვა, მერე სამზარეულოს ჩაკეტილ კართან მივიდოდა, ზედ დაუკაკუნებდა.

_ გამიღეთ კარი!

_ ვინა ხარ? _ გამოეპასუხებოდა ბებია.

_ ახალი წელი! უპასუხებდა ბაბუა.

_ რა მოგაქვს?

_ ღვთისა და კაცის სიყვარული!

_ კიდევ რა მოგაქვს?

_ ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი!

_ კიდევ რა მოგაქვს?

_ გაალე ქალო, კარი... მომაქვს შენი დღეგრძელობა და კარგად ყოფნა! _ შეიძახებდა ბაბუა.

ოდის კარი გაიღებოდა, შევიდოდით. ბებია შემოგვეგებებოდა, ხელში ანთებული სანთელი ეჭირა. ბაბუა თანმხლებლით სახლს კუთხეკუთხით შემოუვლიდა, ღომის მარცვლებს ყველგან მოაბნევდა შემდეგი სიტყვებით:

_ ღმერთო, შენ მიეც ჩემს ოჯახს ჯანმრთელობა, სიცოცხლე და სიხარული, მოყვრის გახარება, მტერზე გამარჯვება, დაიფარე ავი სულისაგან, ავი გულისაგან. მიეცი ამდენი ოქრო, ამდენი ვერცხლი, ამდენი თვალმარგალიტი, ამდენი ძროხა, ამდენი ხარი, ამდენი ღორი, ცხვარი და წვრილფეხობას არ ახსენებდნენ საწყალ ცხენს კუზაიას, რომელიც იქვე ბაგაზეება, ფრუტუნებდა და ჭრაქის სინათლეზე თვალებს ცეცხლივით ანათებდა... არ ახსენებდნენ იქნებ იმიტომაც, რომ იმ დროს ჩვენში, ცხენს ადამიანის ტარების მეტი არაფერი ევალებოდა, კაცის მრჩენელად არ იყო ცნობილი, ოჯახი უცხენოდ იარსებებდა, ხარის გარეშე კი ვერა.

როცა ალიონი ცას წვერს ჰკრავდა და სინათლე სახლში შემოატანდა, მეფერხულიც მოვიდოდა და ყველანი სუფრას შემოვუსხდებოდით. დილიდანვე იწყებოდა სტუმრიანობა, თუ პირველი სტუმარი ნაბდიანი მოვიდოდა, ბებიას ეწყინებოდა, აბუზული წიწილები მეყოლება წელსო... სამ დღეს გრძელდებოდა ახალი წლის შეხვედრა.

მარიამ გარიყული

***

ეს სამშობლო რა ყოფილა, განა ცოტა მამყოფინა,
თითო გოჯის სიყვარული ჩემში როგორ დაგროვილა,
ყველაფერი მიყვარს მისი, არა სხვისი
დიდებული ალავერდი, სამთავისი...
ხე გამხმარიც მიყვარს მისი, გადახდილი პარაკლისი,
მიყვარს ის ცა და ის ცელქი ღრუბელი, რომ ავხედე, _
ის ნამცეცა, უცებ სადღაც გამექცა,
მიყვარს ის მზის სხივები, ქართულ მიწას რომ ათბობს
 და ანათებს
ველარ ვიტან ჩემს მამულში შემოპარულ ჯალათებს. _
ქვებში ჩაკარგული მიყვარს შუკა,
დაცრეცილი ქვეყნის რუკა,
მდინარეში ყველა კენჭი
მის ნაპირთან ბავშვს რომ ნახავ შეციებულს კბილის კრეჭით,
ის ჩერჩეტა მამალიც, დილით ძილს რომ არ გვაცლის,
ჩემი მიწის სიყვარული, ვგრძნობ ბოლომდე რომ დამცლის...
ამ სიყვარულს ისიც კი გრძნობს, ის ცისფერი კესანე
და მის ახლოს მოფენილი მეორე და მესამეც...
ბუმბერაზი მთები მიყვარს და მის წვერზე დაფლეთილი
თეთრი თოვლის ნარჩები,
ის მჩქეფარე ჩანჩქერები, ფიცხი, ჩქარი ქართველებით
ჰოდა, ვიტყვი
ეს ასეთი ლაღი სივრცე
კაცთმოძულეთ რისთვის მივცეთ?!.

***

წვიმს, შავი ღრუბლებიდან მზე მაინც ჰყოფს ცხვირს,
ცრის, მზე მაინც გვიგზავნის თბილ სხივს,
გაურკვეველი ფერის ღრუბლებში ჩაიკარგა კვალი მზის,
თოვს, დედამიწის მწვანე სამოსს თეთრი სამოსი ცვლის.
მიყვარს, როცა მთვარის შუქზე
ფიფქი ფიფქს რომ ემატება,
ჩემი სოფლის საკვამურთა
ნაპერწკლები მენატრება,
კოჭლ სამფეხზე ჩამომჯდარი ბებოს გრძნობით მოფერება:
"გათბი ნენა",
გადანგრეულ ხის ღობეზე გადამძვრალი შავი ძაღლი
ბნელ საქათმეს ეპარება.
ასაჟნულ გადაყრილი პურის მარცვლებს ბეღურები ეტანება,
სცივათ ნეტავ?
გარეთ ისევ თოვს, თოვს და მთვარის შუქით
დაბნეული ფანტელები
თეთრ უდაბნოს უსასრულოდ ემატება,
დაიფარა სულეირის ნავაალევი
არის სრული ნეტარება.

ნანა ცხვარაძე

***

მოჭრეს პაპაჩემის დარგული მუხა,
გამოლპა მისი დაღლილი ფესვი
და თვალში ჩემს გაწითლებულ კაპილარებად
შემომრჩენია მისი ფესვების
მოწყვეტილი ნაწილაკები...

***

ამ შემოდგომის გათენებას
ცოცხლობს მხოლოდღა
მილექილი შენი იერი...
და მოკვეთილო პატარა დაო,
თითქო ქვეყანას შემორჩენია
ყვავილზე ლაქად დადებული
შენი პაწია სუსტი ხმის ფერი...

***

ჩვენ რომ გვეძინა,
ჩემი ჭიშკრის გვერდით
იქნება ერთად ამოვედით
ციცქნა იებად,
იქნებ შენ იყავ წუთით ია და
მე დაგედევნე, რომ მეგრძნო შენი
იაიობა...
სულ ცოტა ხანი, ალბათ, დილამდე
სანამ მზე ჩუმად ამოვიდოდა...

წვიმა

ზამთარი თავს არ იბერებს
ჯერჯერობით,
მზის კოცონზე ხელებს ითბობენ
ქორები.
წვიმას გადაუცვამს ტანზე სიჭაბუკე და
მოკაკუნებს შენი მაღალქუსლიანი
ქოშებით...
ზამთარი თავს არ იბერებს ჯერჯერობით...

ახალი პეიზაჟი

ახლად წათლილი ფერადი ფანქრებით
დაგიწყია ხატვა გაზაფხულის,
მაგრამ გაცვეთილი ფანქრის წვეროთი
დაგიმთავრებია და
დაგირქმევია შემოდგომა...

***

რომ ამოსულა პატარა ია
(არვის არ გაძლევთ ამას სატკივილოდ),
ეს მისი ფერი მასთან მშობლების ნაუბარია
რომ მითარგმნოს და მათი ღიმილი ამოვიკითხო.

***

მოხუცი ქალი ჩამონგრეულ კოშკივით ცვივდებოდა,
და მის ნანაგრევებს პეშვს უშვერდა მოხუცი ქმარი,
რომ აევსო და წვეთიც მიწაზე არ დავარდნოდა...

***

ამ საღამოსთან მიცურდა მთვარე,
როგორც ნაპირთან პატარა ნავი,
ისე გახაზა სინათლე ძრამ,
თითქო ცას ფრენით მოყვეთა თავი...
დღეს დაელაა დედის თვალები
ნაგრძნობი შენი ლხინით თუ ურვით,
მილიღინებდა მთიდან გლეხი და
თან მზეც მაჰქონდა ნელ-ნელა ურმით...

ერმილე ოიეფარიძე

გია (დოყო) თევზაძის მოგონება

ჩვენო გია, დრო რა სწრაფად გავიდა, უკვე 40 დღე გვაშორებს იმ ბედნიერი წუთებიდან, რასაც შენს გვერდით ყოფნა ერქვა სახელად, მოულოდნელად გადასახლდი იმიერში და შენს ლამაზ, თბილ ოჯახში დატოვე წარუშლელი კვალი, მშობლების სასახელო შვილო, ცოლ-შვილის მოსიყვარულე, გიაჩო, საუკეთესო შვილი-შვილო, დედმამიშვილო, სანათესაოს, სამეზობლოს, საძმაკაცოს იმედო. სათანადო სიტყვებს ვერ ვპოულობთ, შენი პიროვნების სრულყოფილი ასახვა რომ შევძლოთ. არა მარტო სულიერად, ვიზუალურადაც, გამორჩეული ვაჟკაცი იყავი. ამ სიტყვებს იმიტომ არ ვამბობთ შენზე, რომ ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გქვია, ამას შენი მეგობრების, მეზობლების, ნათესავების, თანაქალაქელების მიერ დაღვრილი ცრემლი მოწმობს, რამხელა სიყვარული დაგიტოვებია ხალხში. ყველამ ღირსეულად დაგიტირა, გულწრფელი ცრემლი გაგაყოლა. ეს მხოლოდ გვიმსუბუქებს დარდს და ტკივილს.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია, ღმერთმა გზა გაგინათოს ცათა სასუფეველში.

შენი ოჯახი

დღეები გადის და არაფერი იცვლება, დარდი უფრო და უფრო მატულობს. მაინც, რა დიდი ტკივილი აღმოჩნდი დოყო, ჩვენო უსაზღვროდ თბილო და კეთილშობილო ადამიანო, ყოველთვის, როცა ტელეკომპანია "ზარის" კარს შემოაღებდი, ჩვენც სიხარულით ვივსებოდით. შემოგვხედავდი შენი ლამაზი, მზისსხივებჩამდგარი თვალებით და დადებითი მუხტით ივსებოდა სივრცე. რა საშინელებაა რომ ასე უეცრად გამოგვეცალა შენი საიმედო და დასაყრდენი ხელი, შენი თანამგრძნობი და ყველას შემცოდე გული რა უეცრად გაჩერდა და შეაჩერა დრო, რომელსაც ცხოვრების ბედნიერი ეტაპი ერქვა. გვიჭირს შენი წარსულში გახსენება. დაე, შეგვინდოს უფალმა რომ ცხოვრების კანონებს წინ ვუდგებით და გულისშემძვრელ რეალობას ვერ ვეგუებით, მაგრამ სხვაგვარად არ შეგვიძლია, სანამ ამქვეყნად ვიქნებით, თითოეული ჩვენგანი სათუთად გავუფრთხილდებით შენს სახელს.

ტელეკომპანია "ზარის" თანამშრომლები

"სამტრედიის მაცნე" მარი თევზაძეს ულოცავს

წარმოშობით სამტრედიელმა მარიამ თევზაძემ საქართველოს თასის გათამაშება სწრაფ ჭადრაკში საპრიზო ადგილი დაიკავა.

2019 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს თასის გათამაშება სწრაფ ჭადრაკში, რომელიც ნოდარ ლორთქიფანიძის დამაჯერებელი პირველობით დასრულდა. გამარჯვებულმა ცხრიდან რვა ქულა დააგროვა და ნახევარი ქულით გაუსწრო კონკურენტებს. 7,5 ქულითა და დამატებითი მაჩვენებლებით II-III ადგილები გაინაწილეს: ლუკა პაიჭაძემ და თორნიკე სანიკიძემ. ქალთა შორის საუკეთესო შედეგი ინგა ჭარხალაშვილმა დააფიქსირა: 9-დან 6,5 ქულით. 6 ქულით II-III ადგილები მირანდა მიქაძემ და მარიამ თევზაძემ დაიკავეს.

სენიორ ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი სერგო ცომაიამ აჩვენა.

ნინო ნანიტაშვილი



გაზეთ "სამტრედიის მაცნის" რედაქცია თანაუგრძნობს შოთიკო პაპავას მამის,

ლევან შოთას ძე პაპავას

გარდაცვალების გამო.

მერაბ არჩვაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლევან პაპავა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ნათელა გელეიშვილი და მაყვალა ჩირგაძე ოჯახებით გულწრფელ თანადგომას უცხადებენ შოთიკო პაპავას მამის,

ლევან პაპავას

გარდაცვალების გამო.

ყოფილი ჩაი-მექანიკური ქარხნის თანამშრომლები იუწყებიან

ლევან შოთას ძე პაპავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სპორტი

ქართველი მწვრთნელის აღიარება

უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციამ 2019 წლის საუკეთესო მწვრთნელად ტაშკენტის "ფახთაქორის" მთავარი მწვრთნელი, ცნობილი ქართველი ფეხბურთელი და სპეციალისტი შოთა არველაძე დაასახელა.

მისი ხელმძღვანელობით უზბეკურმა გუნდმა 2019 წელს ქვეყნის ჩემპიონობასთან ერთად თასი და ლიგის თასი მოიგო, რაც ქართველი მწვრთნელის დიდი დამსახურებაა.

ვულოცავთ მას ამ დიდ აღიარებას.

კახა ჩხეტიანი თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელია

თბილისის, დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე 2 წლიანი კონტრაქტით დაინიშნა ქუთაისის "ტორპედოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი კახაბერ (კახა) ჩხეტია.

გამოვლინდნენ საუკეთესო სპორტსმენები

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ 2019 წლის საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინა. წლის საუკეთესო მამაკაცი სპორტსმენი ძალოსანი ლაშა ტალახაძე ზედიზედ მეოთხედ გახდა. ხოლო საუკეთესო ქალი სპორტსმენი ძიუდოისტია ეთერ ლიპარტელიანია.

ირაკლი ნიკოლეიშვილი

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მაია აბურჯანიძეს და ვალერი თევზაძეს დედისა და სიდედრის გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები თანაუგრძნობენ ნუგზარ მიქაძეს დის, ქალბატონი

ლამარას

გარდაცვალების გამო.

ლევან გაბეჩავა თანაუგრძნობს ბატონ ნუგზარ მიქაძეს დის, ქალბატონი

ლამარას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნის" რედაქცია თანაუგრძნობს ნუგზარ მიქაძეს დის, ქალბატონი

ლამარას

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი თანაუგრძნობს ნუგზარ მიქაძეს დის, ქალბატონი

ლამარას

გარდაცვალების გამო.

ვულოცავთ!

ნინო ნანიტაშვილს!

ჩვენო კოლეგავ, გილოცავთ სიყვარულით დაბადების დღეს, უამრავ პროფესიულ წარმატებას, ჯანის სიმრთელეს, ოჯახურ ბედნიერებას და ღვთის დიდ მფარველობას გისურვებთ! დაე, დიდხანს გელვაწოს მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

"სამტრედიის მაცნე"

ეკა ცომაიას!

ჩვენო საყვარელო კოლეგავ, დაბადების დღეს გილოცავთ, უფალმა გააძლიეროს თქვენი დიდი და ლამაზი ოჯახი, პროფესიული წარმატებები და ოჯახური ბედნიერება, დაუშრეტელი ენერგია და სიხარულის ღიმილი არ მოგაკლოთ მრავალჟამიერ!

"სამტრედიის მაცნე"

თამუნა ჯინჭველიშვილს!

ნიჭიერ, პერსპექტიულ ახალგაზრდას სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. ახალი წარმატებები, ოცნებების ახდენა მოეტანოს შენთვის ყოველ ახალ წელს, ჩვენო თამუნა!

"სამტრედიის მაცნე"



ზიკო ჯინჭარაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ზიკო. ღვთის მადლი, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს შენს ლამაზ ოჯახთან, დედიკოსთან ერთად!

"სამტრედიის მაცნე"

დარეჯან ქავთარიას!

ჩვენო მშვენიერო, კეთილშობილებით სავსე ქალბატონო, 16 იანვრის გათენებას უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით მოგილოცავთ. გვინდა, მუდამ ბედნიერს, მხიარულს, სიცოცხლის ჟინით ანთებულს გხედავდეთ, უშრეტი ენერგიითა და უსაზღვრო ერთგულებით გამორჩეულო, გვიყვარხარ და გვეამაყები. ჩვენო საუკეთესო მეგობარო, საუკეთესო სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს!

ნათელა გელეიშვილი, ქეთევან ჭელიძე, ნინო ნანიტაშვილი, ნატო გოგიშვილი, მზევინარ ბოზუა

ილია ყაჭეიშვილს!

ჩვენს გაზეთზე შეყვარებულ კარგ ადამიანს პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. 64 წელი ამიერიდან გასავლელი თქვენი ხანგრძლივი, ჯანმრთელი და ბედნიერი ცხოვრების საწინდარი ყოფილიყოს. ნაშრომ-ნაჯაფი კაცისთვის ტკბილი სიბერე, თქვენი დიდი ოჯახის, შვილების და შვილიშვილების კეთილდღეობა გვისურვებია. შობა-ახალი წელი კეთილი სურვილების ასრულებით დაგებედოთ!

"სამტრედიის მაცნე"

იოსებ გაგუას!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს. ხვავი, ბარაქა, ჯანმრთელობა და სიხარული მოეტანოს მისთვის ახალ წელიწადს. წარმატებები დაებედოს პირად ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში!

"სამტრედიის მაცნე"

ახლა ისეთ რამეს ვიზამ,
არ მოგივა შენ ეს აზრად,
ატომურ ბომბს კი არ გესვრი,
ნოხს დაგიგებ ფიანდაზად.

ფოტო განწყობისთვის

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა